ახალი განათლება

2014 წელი, 3 ივლისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№25 (659) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

სიძველეთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საცავი 56 წლისაა

გვერდი 5

სერტიფიცირებული პედაგოგები დანამატს დაუბრკოლებლად მიიღებენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მისამართით, უკანასკნელ პერიოდში მიზანმიმართულად გავრცელდა სხვადასხვა შინაარსის არასწორი ინფორმაცია.

ამჯერად სამინისტრო ეხმაურება ელექტრონულად და ანონიმურად საჯარო სკოლებში გავრცელებულ დეზინფორმაციას, რომლის თანახმად, თითქოს ზაფხულის არდადეგებზე საჯარო სკოლის სერტიფიცირებული პედაგოგები სასერტიფიკაციო დანამატს არ მიიღებენ. აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ყველა სერტიფიცირებული პედაგოგი დანამატს დაუბრკოლებლად მიიღებს.

გაცნობებთ, რომ „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის №576 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-14 მუხლის შესაბამისად, მასწავლებელს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლისა და არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის №84/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ არდადეგების პერიოდში უნარჩუნდება ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით გაანგარიშებული შრომის ანაზღაურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მასწავლებელს კანონმდებლობით გათვალისწინებულ არდადეგების პერიოდში, თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, უნარჩუნდება თანამდებობრივ სარგოზე კანონმდებლობით დადგენილი წესით გათვალისწინებული დანამატები.

სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების, რესურსცენტრებისა და სსიპ-ების წარმომადგენლებს ხაზგასმით შეგახსენებთ, რომ ანონიმურად გავრცელებულ ინფორმაციას იურიდიული ძალა არ აქვს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 17 იანვრის №28 ბრძანების თანახმადაც სისტემაში დასაქმებული პირები სამსახურებრივ მიმოწერას ახორციელებენ მხოლოდ შიდა კორპორატიული ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ნუ შეაქცევთ ზურგს ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს

გვერდი 2

UNICEF-ის მიერ 2013 წელს განხორციელებული კვლევა – „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“ – ეს არის ორი დამოუკიდებელი, მაგრამ შინაარსობრივად ურთიერთდაკავშირებული კვლევა, გაერთიანებული ერთ პუბლიკაციად, სადაც ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხები სხვადასხვა კუთხითაა გაანალიზებული. კვლევაში 3345 ადამიანი მონაწილეობდა.

პირველ კვლევაში, რომელსაც ეწოდება „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში – ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ“, ყურადღება გამახვილებულია ამ საკითხის შესახებ საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში არსებული ცოდნის დონეზე და იმ დამოკიდებულებებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს ბავშვის აღზრდის გავრცელებულ მეთოდებს და რომლებიც თავს იჩენს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და მათზე რეაგირების პრაქტიკაში.

მეორე კვლევაში – „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში – ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ანალიზი და მთავრობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები“ – გაანალიზებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურა, რომელიც 2010 წელს ჩამოყალიბდა.

ინტელექტუალური ვიქტორინა „წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“

გრძელდება. წარმოგიდგენთ საკონკურსო კითხვებზე პასუხებს, იხ. გვერდი 3

ეროვნული კვლევა

ნუ შეაქცევთ ზურგს ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს

ლალი ჯელაძე

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში, ბავშვთა მიმართ ძალადობის მხრივ, საგანგაშო მდგომარეობაა, რადგან მოსახლეობის თითქმის ნახევარი დასაშვებად მიიჩნევს ბავშვთა მიმართ ძალადობას. მოსახლეობის 60 პროცენტი ფიქრობს, რომ ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი.

„საზოგადოება უმეტესწილად მიიჩნევს, რომ ბავშვის მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობა ოჯახის შიდა საქმეა და ამ საქმეში ჩარევის წინააღმდეგია. იმ შემთხვევებში კი, როცა მოქალაქე ჩარევას გადაწყვეტს, ხშირად არც კი იცის, ვის ან როგორ მიმართოს. ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების დიდმა უმრავლესობამ (60%), რომელთაც კანონით ევალებათ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და მათზე რეაგირება, არ იცის ამ პასუხისმგებლობის შესახებ და ღრმადაა დარწმუნებული, რომ ოჯახის საქმე ფაქიზი საკითხია და უმჯობესია ამაში არ ჩაერიო. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ბავშვის აღზრდის ძალადობრივი მეთოდები გამოუსწორებელ უარყოფით კვალს ტოვებს და მოქმედებს მის შემდგომ განვითარებაზე. ყველა მშობლისთვის საოცნებო, წარმატებული, ხალისიანი, ჯანმრთელი ბავშვების ნაცვლად, ძალადობის შედეგად ყალიბდებიან განდგომილი, გულჩათხრობილი და ჯანმრთელობაშელახული ახალგაზრდები, რომლებსაც ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავება უჭირთ და წარმატებასაც ძნელად აღწევენ. მასწავლებლების, აღმზრდელების, ფსიქოლოგების, პოლიციელებისა თუ სოციალური მუშაკების მოვალეობაა, დროულად ამოიცნონ ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევები და იმოქმედონ კანონით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, რათა დაიცვან ბავშვის ინტერესები. მხოლოდ სწორი მეთოდებით აღზრდა მისცემს ბავშვს საშუალებას, სრულად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი, გახდეს საქართველოს აქტიური მოქალაქე და მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის განვითარებაში.

კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ძალადობისგან ბავშვების დაცვის სისტემა გამართვასა და სრულყოფას საჭიროებს; კვლევის შედეგად კარგად გამოჩნდა ამ სისტემის ხარვეზები და მათი გამოსწორების გზებიც დაისახა. დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ მალევე მოხდება ყოველივეს გათვალისწინება და ამ საქმეში, რა თქმა უნდა, აქტიური პარტნიორი და მხარდამჭერი იქნება გაეროს ბავშვთა ფონდი.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ძალადობის მიმართ რიგითი მოქალაქეების დამოკიდებულება. ადამიანებს უნდა ესმოდეთ, რომ მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა, არ შეაქციონ ზურგი ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს სამეზობლოში, სანათესაოსა თუ ქუჩაში“ – აღნიშნავს გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში **საშა გრაუმანი**.

რა კონკრეტული ღონისძიებები უნდა გაატაროს სახელმწიფო ინსტიტუტებმა იმისთვის, რომ გაძლიერდეს ბავშვთა დაცვის (რეფერირების) სახელმწიფო სისტემა და შეიცვალოს ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი დამოკიდებულება – ამ თემაზე გაიმართა დისკუსია, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, „ფრონტლაინ ჯორჯიაში“. დისკუსიის მოდერატორი – GCRT ბავშვთა ფსიქოლოგი **მაია ცირამუა,** დისკუსიის სტუმრები: გაეროს ბავშვთა ფონდის სოციალური კეთილდღეობის პროგრამის ხელმძღვანელი **ქეთი მიქელაძე**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი **ნინო კვიტაიშვილი**.

ქეთი მიქელაძემ კვლევის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს არის სარკე იმისა, თუ რა ხდება საქართველოში ბავშვთა ძალადობის მიმართულებით.

– რატომ გვაწუხებს ძალადობა? მისივე თქმით, ეს არის უმთავრესი კითხვა, რომელიც რჩება როგორც პიროვნულ, ისე საზოგადოებრივ დონეზე. *„პიროვნულ დონეზე, ვიცით, რომ ბავშვი, რომელიც ძალადობის მსხვერპლია, ძალიან ბევრ პრობლემას ეჯახება. შეიძლება ამან შეაფერხოს მისი ფიზიკური განვითარება, შეასუსტოს ჯანმრთელობა და შესაძლოა ის შშმ პიროვნებად ჩამოყალიბდეს. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა – როგორები არიან ძალადობის მსხვერპლი ბავშვები? დათრგუნულები, ჩაკეტილები, აგრესიულები, უჭირთ კონტაქტი. ფსიქოლგიურის გარდა, ძალადობა სოციალურ მდგომარეობასაც უკავშირდება. ძალადობის მსხვერპლი ბავშვი შემდგომ, ზრდასრულობის ასაკში, გვევლინება ისეთ ადამიანად, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად არ არის ჩართული.“*

ყურადსაღებია კვლევის ის მონაკვეთი, სადაც აღწერილია ძირითადი მონაცემები და ფაქტები, თუ როგორ ხდება სკოლებში ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და იდენტიფიკაცია. აღნიშნულია, რომ სკოლებში მომუშავე პროფესიონალებს კარგად არ ესმით რეფერირების პროცედურების მიხედვით მათთვის დაკისრებული პასუხისმგებლობები; სასკოლო სისტემაში არ არის მკაფიო ინსტრუქციები და არ ტარდება სისტემატური ტრენინგები ბავშვებზე ძალადობის გამოვლენისა და რეფერირების საკითხებზე; მანდატურების და მასწავლებლების უმეტესობა ხედავს სექსუალურ ძალადობაზე რეაგირების საჭიროებას (სოციალური მუშაკებისა და პოლიციის ჩართვის აუცილებლობის ჩათვლით), მაგრამ კარგად არ აცნობიერებს, რომ ასევე აუცილებელია ძალადობის სხვა ფორმების შემთხვევაში ჩართვაც; სკოლის წარმომადგენელთა 46% მიიჩნევს, რომ ანგარიშის წარდგენა საჭიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოვლენილი ფაქტი ძალიან მძიმეა და/ან განმეორდა რამდენჯერმე; არსებობს ღრმად გამჯდარი რწმენა, რომ სხვისი ოჯახის საქმეებში ჩარევა მიზანშეწონილი არ არის; მხოლოდ თბილისის სკოლების მანდატურებმა გაიარეს სპეციალური ტრენინგი ბავშვებზე ძალადობის გამოვლენის და რეაგირების საკითხებში და ნაწილობრივ ამით აიხსნება, რომ მათ ეს საკითხები უკეთესად ესმით. ძალადობის კუთხით, განსაკუთრებით თანატოლთა ძალადობის, სკოლებში რომ მაინცდამაინც სახარბიელო სიტუაცია არ არის, ეს ყველამ კარგად ვიცით და კვლევაც სწორედ ამას ადასტურებს.

ბუნებრივია, საინტერესოა რეალურად რას აკეთებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იმისათვის, რომ სკოლა გახდეს მეტად ტოლერანტული და ყველანაირი ძალადობა აღმოიფხვრას. სწორედ ამის შესახებ ისაუბრა **ნინო კვიტაიშვილმა:** *„ერთი მხრივ, მოხარული ვარ, რომ ასეთი შეხვედრა ჩატარდა და ზოგადად ასეთი კვლევა რომ განხორციელდა, მაგრამ, ამასთანავე, ისე როგორც ნებისმიერ თქვენგანს, ღრმა წუხილი გამიჩნდა საკითხის მიმართ, ვიდრე აქამდე მქონდა. თუმცა, აქამდეც, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ძალიან მწვავედ ვხედავდი ამ პრობლემებს, რადგან არც ერთი მოზარდი, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემაში ხვდება, არ არის ისეთი ცხოვრებით ნაცხოვრები, რომელსაც არ განუცდია ძალადობა, იქნება ეს ფიზიკური თუ ემოციური. დავინტერესდი, რა მონაცემები არსებობდა ჩვენს სისტემაში ზოგადად ძალადობასთან მიმართებაში და სავსებით ვეთანხმები კვლევის შედეგებს, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვანახა საზოგადოების დამოკიდებულება ძალადობისადმი – ის, რომ საზოგადოებას შექმნილი აქვს ტოლერანტული გარემო ზოგადად, და თავისთავად, მოზარდებისადმიც. ვიზიარებ კვლევაში აღნიშნულ მოსაზრებას იმის შესახებაც, რომ ინფორმირებულობისა და ცოდნის ხარისხი დაბალია. რაც უფრო მაღალია განათლების ხარისხი ნებისმიერი თემის მიმართ, მათ შორის ძალადობის თემის მიმართ, ბუნებრივია, საზოგადოებაც გაცილებით კომფორტული და ტოლერანტული ხდება სხვა საკითხებისადმი და არა ძალადობისადმი. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ 2012 წლის დეკემბრის სტატისტიკით, მცირე განსხვავებაა რეგიონის – სოფლის სკოლებისა და ქალაქის სკოლების მონაცემებს შორის. საინტერესოა, რომ სოფლის სკოლებში, ძირითადად, ვლინდება მშობლების მხრიდან ძალადობა შვილისა და სკოლის მიმართ – იქნება ეს ბავშვი, მასწავლებელი თუ დირექტორი. ქალაქის სკოლების მონაცემებში, თანატოლებს შორის ძალადობის რიცხვი უფრო მაღალია. ასევე საინტერესო ფაქტებია მასწავლებლების მიერ მოსწავლეზე განხორციელებული ძალადობისა. რაც შეეხება 2013 წლის მონაცემებს, რომლებიც მანდატურის სამსახურის დახმარებით მოვიპოვეთ, სულ დაფიქსირებულია 4303 შემთხვევა მოსწავლის მიერ მოსწავლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური თუ სიტყვიერი ძალადობის. მოსწავლის მიერ მასწავლებელზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევებიც გვქონია – 183; მოსწავლის და მასწავლებლის მხრიდან მანდატურის მიმართ – 27, ხოლო სკოლის მომსახურე პერსონალის მიმართ – 13 შემთხვევა.*

ზოგადად, სასკოლო საზოგადოების არც ერთი სეგმენტი არ დარჩა, მსხვერპლის ან მოძალადის ფორმით რომ არ იყოს დაფიქსირებული, რაც ძალიან სამწუხაროა.

რა მექანიზმი გვაქვს, დღეის მდგომარეობით, ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის? ბუნებრივია, საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სკოლის შიგნით იდენტიფიცირებას ახდენს სკოლა, რა დონეზე, ამაზე, ალბათ, კითხვის ნიშანი უნდა დავსვათ – ახდენს კი სათანადო დონეზე იდენტიფიცირებას? სკოლიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ბუნებრივია, მოკვლევას შიდა აუდიტის სამსახური ატარებს, ძალადობის ფორმიდან გამომდინარე. ამავდროულად, პროცესში ერთვება ფსიქოლოგიური ცენტრი – მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც, ძალადობის იდენტიფიცირების შემთხვევაში, მუშაობს როგორც ოჯახთან, ისე დაზარალებულებთან და, თავისთავად, მოძალადე მხარესთანაც.

კიდევ ერთი სეგმენტი, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს, გადამისამართების საბჭოა, რომლის წევრი თავად გახლდით ჯერ კიდევ სკოლის დირექტორის პოზიციაზე ყოფნისას. ჩვენ განვიხილავდით და დღესაც განვიხილავთ კეისებს, რომლებიც შემოდის სკოლიდან, მანდატურისგან, მშობლისგან, უბნის ინსპექტორისგან ან სოციალური სამასახურისგან. დღეის მდგომარეობით, სულ განვიხილეთ, დაახლოებით, 12 ანტისოციალური ქცევის შემთხვევა, რაც მიზერულია, ანუ რეალურად არ მიდის ინფორმაცია, რათა ინტერვენცია დროულად განხორციელდეს და, რაც მთავარია, ეს იყოს შედეგზე ორიენტირებული. ამ დროისათვის, 6 მოზარდი გვყავს სამტრედიის მე-15 სკოლაში გადამისამართებული. ეს ის შემთხვევებია, სადაც ქცევითი პრობლემები არსებობდა და შეუძლებელი იყო მოზარდის იმ გარემოში დატოვება, სადაც სამტრედიაში გადამისამართებამდე იმყოფებოდა. რაც შეეხება მომავლის პერსპექტივებს – არაერთხელ გაცხადდა, რომ იქნება განათლების სისტემის კონსოლიდირებული სტრატეგია, სადაც, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ძალადობისაგან თავისუფალი სკოლა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 21 ფოკუსჯგუფი მოეწყო ამ მიმართულებით, ასევე – საჯარო განხილვები. ბუნებრივია, ჩართული იყო ყველა სუბიექტი, რომლისთვისაც ეს მნიშვნელოვანი თემაა – არასამთავრობო თუ სამთავრობო სექტორი, თავად სკოლა, მშობელი თუ სხვ.

რას გულისხმობს ძალადობისგან თავისუფალი სკოლა?

უპირველეს ყოვლისა, მთავარია ცნობიერება და ამ მიმართულებით პრევენციული ღონისძიებების გატარება, რაც უნდა ემსახურებოდეს, საბოლოო ჯამში, სასკოლო საზოგადოების (რომელშიც, რა თქმა უნდა, მშობლებსაც მოვიაზრებთ) ცნობიერების ამაღლებას; ამავდროულად, სამოქალაქო და სამართლებრივი პროგრამების გადამუშავებას და დაწყებით საფეხურზე მათ დანერგვას, რადგან პრობლემას, პირდაპირი სახით, ძირითადად, საბაზო-საშუალო საფეხურზე ვხედავთ, მაგრამ კარგად ვიცით, რომ სწორედ დაწყებით საფეხურზე ჩნდება პირველადი სიგნალები, რომელიც ყურადღების მიღმა რჩება.

მანდატურის სამსახურის რეფორმირების პროცესი – ბავშვთა დაცვის სამსახურად გარდაქმნა, რეფერირების საკითხებში გადამზადება, ამავე მიმართულებით სადამრიგებლო პროგრამების განვითარება – ის ნაბიჯებია რომელიც ბავშვთა ძალადობის აღმოფხვრას ემსახურება; გარდა ამისა, თვითმმართველი რგოლის – დისციპლინური კომიტეტის გაძლიერება, რომელიც, აქამდე არსებული პრაქტიკის თანახმად, ერთგვარ სადამსჯელო თვითმმართველ რგოლად აღიქმებოდა, სადაც შედიოდა კეისი და გადაწყვეტილება უნდა მიღებულიყო, ძირითადად, სახდელის დაკისრების მიმართულებით, რაც აბსოლუტურად არ გულისხმობს მოზარდის მხარდაჭერას და, გარკვეულწილად, მის შემდგომ რეაბილიტაციას. პირიქით, ის ორიენტირებული იყო დასჯის მექანიზმებზე. თავისთავად, ამ რგოლის გაძლიერება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და კიდევ ერთი დამატებითი ძლიერი მექანიზმი იქნება სკოლაში ამ მიმართულებით საქმიანობისათვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი და პრობლემურია მშობელთა ჩართულობის გაძლიერება. დიდი ხანია, ეს პროცესი დაიწყო და ჩვენი სურვილია, რომ მშობელი მეტად იყოს ჩართული შვილის აღზრდის პროცესში და სკოლის ხშირი სტუმარი გახდეს, მაგრამ ეს, ალბათ, ხანგრძლივი პროცესია.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და მიზანმიმართული მდგომარეობის შემუშავება, კერძოდ – რეკომენდაციები იმავე ოჯახებისათვის. ამას ყველაფერს კი, თავისთავად, ძალადობის მართვის პოლიტიკამდე მივყავართ. პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში მოვიაზრებთ, რა თქმა უნდა, პრევენციულ მექანიზმებს, საზოგადოების ვალდებულებების განსაზღვრას, მიმართვიანობის თვალსაზრისით, ასევე, დანახული ძალადობის იგნორირების, უგულებელყოფის თვალსაზრისით. გვსურს ძალადობის შემთხვევების საინფორმაციო ბაზის შემუშავება, რადგან უფრო კარგად ვადევნოთ თვალი დინამიკის პროცესს. ამავე მიმართულებით ვგეგმავთ სკოლის მონიტორინგის გაძლიერებას.

კიდევ ერთი კომპონენტია სკოლის შეფასების ბარათი, რომელიც არაძალადობრივი გარემოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად იქცევა.

რაც შეეხება საინფორმაციო კამპანიას, ამას, რასაკვირველია, მრავალმხრივად მოვიაზრებთ – მედიასაშუალებებით, მომიჯნავე სტრუქტურების დახმარებით და ა.შ.“

კვლევაში მოცემულია ძირითადი მიგნებები, რომელიც საქართველოში ბავშვთა ძალადობის მიმართულებით გამოიკვეთა:

1. საქართველოში იციან, თუ რა არის ძალადობა, განსაკუთრებით ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევაში. მთლიანობაში, მოსახლეობას უკეთ ესმის, თუ რომელი ქმედება შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკურ ან სექსუალურ ძალადობად. შედარებით ნაკლებად შეუძლიათ ფსიქოლოგიური ძალადობის ან ბავშვის უგულებელყოფის შემთხვევების იდენტიფიკაცია.

2. საქართველოში მაღალია ბავშვებზე ძალადობის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების წილი. იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც ბავშვებზე ძალადობას დასაშვებად მიიჩნევენ (45%), უფრო მაღალია, ვიდრე იმ რესპონდენტებისა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ბავშვობაში ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი იყვნენ (30%). აღმოჩნდა, რომ თუ პირმა ბავშვობაში ძალადობა განიცადა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობა დასაშვებად მიიჩნიოს.

3. განათლება დადებით ზემოქმედებას ახდენს პიროვნების დამოკიდებულებაზე ძალადობის მიმართ. ადამიანის განათლების დონე პირდაპირაა დაკავშირებული მის შეხედულებასთან ფიზიკური ძალადობის, როგორც დასჯის ფორმის, მიმართ; რაც უფრო მაღალია პიროვნების განათლების დონე, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მან დასაშვებად მიიჩნიოს დასჯის ფორმად ფიზიკური ძალადობის გამოყენება.

4. საქართველოში მოსახლეობის უმეტესობა ფიქრობს, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი დისციპლინური მეთოდების გამოყენება, არაძალადობრივ მეთოდებთან შედარებით, უფრო კარგ შედეგს იძლევა.

მოსახლეობის უმეტესობა მიიჩნევს, რომ საქართველოში ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობა პრობლემას წარმოადგენს. ამის მიუხედავად, მოსახლეობის 60%-ის აზრით, ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდები. ახალგაზრდების აზრი განსხვავებულია. უმეტესობას მიაჩნია, რომ აღზრდის პოზიტიური მეთოდები სჯობს ძალადობრივს.

5. საქართველოში მოსახლეობის უმეტესობა თავშეკავებით ეკიდება იდეას, რომ „უფლებამოსილ ორგანოებს“ ოჯახის საქმეებში ჩარევა შეუძლიათ, მაშინაც კი, როდესაც ოჯახში შესაძლოა ძალადობას ჰქონდეს ადგილი. საზოგადოების 94%-ს ესმის, რომ ბავშვისთვის საზიანოა, თუ ის ოჯახში ძალადობის მომსწრეა. ამის მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში, საზოგადოება ოჯახის „შიდა საქმეებში“ გარეშე პირთა ჩარევის წინააღმდეგია.

6. საქართველოში მოსახლეობის 90%-ზე მეტს არ სჯერა, რომ ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები შეიძლება იყვნენ მშობლები ან ოჯახის წევრები. უმეტესობა ფიქრობს, რომ ასეთი დანაშაული შეიძლება

ეროვნული კვლევა

ჩაიდინონ ნაცნობებმა, ოჯახის მეგობრებმა და უცხო პირებმა. საქართველოში საზოგადოების 42% მიიჩნევს, რომ, ყველაზე დიდი ალბათობით, ბავშვზე შესაძლო სექსუალური ძალადობის „ეჭვმიტანილები“ უცხო პირები არიან, ხოლო მეორე ადგილზე არიან ოჯახის მეგობრები და ნაცნობები (35%). მშობლების მხრიდან მსგავსი ძალადობის შესაძლებლობა დაუშვა მხოლოდ 5%-მა, ხოლო ოჯახის სხვა წევრების მხრიდან – 10%-მა. ეს შეხედულება ეწინააღმდეგება გლობალურად არსებულ ფაქტობრივ მონაცემებს იმის შესახებ, რომ ყველაზე ხშირად ასეთ დანაშაულს ოჯახის წევრები და ნაცნობები სჩადიან. უფროსებისგან განსხვავებით, ბავშვები მიიჩნევენ, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის ჩამდენი პირები, ყველაზე დიდი ალბათობით, არიან მშობლები.

7. საქართველოში მოსახლეობას სჯერა, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირების წინააღმდეგ უნდა აღიძრას სასამართლო საქმე, ხოლო რეაბილიტაცია რეკომენდებულია იმათ მიმართ, ვინც ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა ჩაიდინა ან ბავშვის ინტერესები უგულებელყო. მოსახლეობის დამოკიდებულება ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რა სახის იყო ძალადობა. მოსახლეობის 85% მიიჩნევს, რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირების მიმართ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ძალადობის სხვა ფორმის შემთხვევაში, როგორიცაა, მაგალითად, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა და უგულებელყოფა, უპირატესობა ენიჭება ძალადობის ჩამდენ პირთა რეაბილიტაციას (63-67%).

8. საზოგადოება მიიჩნევს, რომ პოლიცია უნდა ჩაერიოს ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, ხოლო სოციალური მუშაკები უნდა რეაგირებდნენ ფსიქოლოგიური ძალადობის ან ბავშვის უგულებელყოფის შემთხვევაში. ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შემთხვევაში პოლიციის ჩარევა უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე სკოლებისა და სოციალური სამსახურებისა. სკოლების ჩარევა მიჩნეულია ყველაზე ნაკლებად მიზანშეწონილ მოქმედებად – ამ უკანასკნელ საკითხზე ასეთივე დამოკიდებულება გამოხატეს ახალგაზრდა რესპონდენტებმაც.

9. საქართველოს ყოველმა მეხუთე მოქალაქემ არ იცის, თუ რა უნდა გააკეთოს და ვის მიმართოს, როდესაც ძალადობის მოწმე გახდება. მოსახლეობის 38% ფიქრობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, რა უნდა გააკეთოს საჭიროების შემთხვევაში.

10. როდესაც ადამიანმა იცის, რა უნდა გააკეთოს და ვის მიმართოს ძალადობის შემთხვევაში, 80%-ზე მეტი ალბათობით, პრობლემის არსებობის შესახებ განაცხადებს.

***

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდაა მიღებული. ყოველი მეორე ქართველი მიიჩნევს, რომ დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ქმედითია, ვიდრე არაძალადობრივი აღმზრდელობითი მეთოდები. მოსახლეობის დიდ უმეტესობას, მათ შორის პროფესიონალებს – მასწავლებლებს, სოციალურ მუშაკებსა და პოლიციელებს სჯერათ, რომ ოჯახის შიდა საქმეები მხოლოდ ოჯახს ეხება და გარეშე პირები ამაში არ უნდა ჩაერიონ. მოძალადეები კი უმეტესად ბაშვებისთვის კარგად ნაცნობი ადამიანები არიან, ისინი, ვისაც ენდობიან და ვისთანაც ხშირად ურთიერთობენ პატარები.

საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მეორე ნაპირზე აღმოჩნდა, გარკვეულწილად, ძალიან დიდი გამოწვევის წინაშე დგას – დიდი ძალისხმევით უნდა გავერთიანდეთ და დავარღვიოთ სიჩუმე, რათა ვიხსნათ ბავშვები ძალადობისგან.

კვლევის ავტორების აზრით, იმისთვის, რომ დაძლეულ იქნეს მოსაზრება – თითქოს ბავშვთა მიმართ ძალადობის ზოგიერთი ფორმა დასაშვებია, აუცილებლად უნდა გატარდეს საკანონმდებლო ცვლილებები, გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერების დონე, ბავშვებს და უფროსებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ძალადობის შემთხვევაში, სათანადო ორგანოებს მიაწოდონ ინფორმაცია. იმისთვის, რომ ამაღლდეს საზოგადოების ნდობა ბავშვთა დაცვის მექანიზმების მიმართ, აუცილებელია ბავშვთა დაცვის სახელმწიფო სისტემის გაძლიერება. ოჯახში ბავშვთა აღზრდის პოზიტიური მეთოდების ნაკლებობა მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც მშობელთა შორის ცოდნის გავრცელების, ცნობიერების ამაღლებისა და უნარ-ჩვევების განვითარების გზით უნდა მოგვარდეს. კვლევამ აჩვენა, რომ ამ კუთხით, ცნობიერების ამაღლება ესაჭიროება არა მხოლოდ მოსახლეობას, არამედ პროფესიონალებსაც. კვლევით ნაჩვენები მძიმე სურათის მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ბავშვების მიმართ ძალადობის შესახებ მათთან ინფორმაცია იშვიათად შედის. 2013 წლის იანვრიდან ნოემბრამდე 181 ზარია დაფიქსირებული, მათგან 2 მშობლის მიერ შვილის მკვლელობის ფაქტია. ხშირია სხეულის დაზიანების შემთხვევებიც.

საქართველოში ძალადობით დაზარალებული ბავშვების ბედი თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული. ნუ დავხუჭავთ თვალს, რადგან კარგად ვიცით, რომ ბავშვობაში მიღებული გამოცდილება განსაზღვრავს ადამიანის ჩამოყალიბებას – ძალადობის მსხვერპლი მომავალში თვითონ ხდება მოძალადე.

ვიქტორინა

ინტელექტუალური ვიქტორინა „წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“

მოგესალმებით ძვირფასო მკითხველებო

გთავაზობთ ახალ წიგნს, რომელიც „ახალი განათლების“ რედაქციამ შემოგვთავაზა – **ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“**.

„რედაქციამ ამ წიგნზე არჩევანი იმიტომ შეაჩერა, რომ მისი წაკითხვის შემდეგ, როგორც გურამ დოჩანაშვილი გვეუბნება, გახდებით ბევრად უკეთესები, ვიდრე ხართ, ლიტერატურის დანიშნულებაც ხომ სწორედ ეს არის. უთუოდ მოგხიბლავთ თინეიჯერი მეამბოხე, რომელსაც სამყაროს შეცვლა სურს. ამ შესანიშნავი მწერლის გარეშე ამერიკული ლიტერატურა წამოუდგენელია. არადა მან, სიცოხლის განმავლობაში, მხოლოდ ერთი რომანი და რამდენიმე მოთხრობა გამოაქვეყნა. ყველაზე ცნობილი ნაწარმოები სწორედ „თამაში ჭვავის ყანაშია“ (ან „კლდის პირას, ჭვავის ყანაში“), რომელიც 1951 წელს გამოქვეყნდა და უდიდესი პოპულარობა მოუტანა ავტორს, განსაკუთრებით კი თინეიჯერებში. აღიარების შემდეგ სელინჯერი წყვეტს ჟურნალისტებთან ურთიერთობას, აღარ იძლევა ინტერვიუებს და 1965 წლიდან აღარც იბეჭდება. იწყებს განდეგილად ცხოვრებას და სიცოცხლის ბოლომდე ასე გრძელდება. პაპარაცებმა განდეგილი სელინჯერის მხოლოდ ერთი ფოტოს გადაღება მოახერხეს. პოლ ადეომ, 1988 წელს, მუშტმოღერებულ და გაბრაზებულ მწერალს გადაუღო ფოტო, რომელიც „ნიუ-იორკ პოსტის“ გარეკანზე მოხვდა, სათაურით – „დაგიჭირეთ, დამჭერო!“ („GOTCHA CATCHER!“).

რომანის მთავარი გმირი 16 წლის ჰოლდენ კოლფილდია, რომელიც სკოლიდან გარიცხეს. ჰოლდენი, ერთი მხრივ, აუტანელი და საზოგადოებრივი კონტექსტიდან ამოვარდნილი ბიჭია, მეორე მხრივ კი – ძალიან სენსიტიური და კეთილი. ის დასცინის ყველას და ყველაფერს. სძულს საზოგადოებაში მიღებული ეტიკეტი, პირფერობა, სიყალბე, საკუთარი მასწავლებლები და კლასელები. „ეს მსპობს, გაიცნობ კაცს და უსათუოდ უნდა უთხრა – სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, თუნდაც სულაც არ იყოს სასიამოვნო! რას იზამ, სიცოცხლე თუ გინდა, ამისთანა სისულელეები უნდა როშო.“ აღსანიშნავია, მისი მგრძნობიარე დამოკიდებულება დის მიმართ.

ჰოლდენს ერთი ოცნებაც აქვს, გადაარჩინოს კლდის პირას მოთამაშე ბავშვები გადაჩეხვას. „მინდა ვიდგე ციცაბო კლდის ნაპირას და დავიჭირო ყველა, ვინც დაღმა დაშვებას დაიწყებს. თუ ისინი სირბილით დაეშვებიან, ვერც კი დაინახავენ, თუ საითკენ გაქანდებიან. მე იქ როგორღაც უნდა აღმოვჩნდე და ისინი დავიჭირო. მთელ დღეს ამ საქმეს მივუძღვნიდი. მე ვიქნებოდი დამჭერი მოთამაშე ჭვავის ყანაში...“ – აი, ასეთი სურვილის შემდეგ, ჰოლდენს ყველა ჩადენილი „დანაშაული“ ეპატიება.

მას უდიდესი სურვილი აქვს დაეხმაროს გზააცდენილ ადამიანებს, სანამ ისინი უფსკრულში აღმოჩნდებიან და სწორ გზაზე დააყენოს. ჰოლდენი ჯერ ჩამოუყალიბებელი პიროვნებაა, მაგრამ სწორი ორიენტირი აქვს აღებული ცხოვრებაში, რადგან შეუძლია სიკეთისა და ბოროტების გარჩევა, არ არის შემგუებელი და ფლიდი, ვერ ეგუება სიყალბეს.

თავის დროზე რა არ უწოდეს ჰოლდენს – ბედოვლათი, ახირებული, მანჰეტენელი ულისე, უიღბლო თინეიჯერი და ა.შ., მაგრამ დღემდე უცვლელად აღწევს მისი განუმეორებელი ხმა – შეცვალოს სამყარო უკეთესობისკენ.“

პატივისცემით, **მარიკა ჩიქოვანი**
გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქტორი

მაშ ასე, ვიქტორინის მომდევნო წიგნი – ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“.

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია წარმატებას გისურვებთ და რამდენიმე სიტყვით შეგახსენებთ ვიქტორინის წესებს:

წაიკითხეთ ნაწარმოები და, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, დავდებთ შეკითხვებს უკვე წაკითხული ნაწარმოებიდან.

გაცემული პასუხები და „რა? სად? როდის?“ ფორმატის კითხვები გადააგზავნეთ შემდეგ მისამართზე:

viqtorina.sssef@gmail.com

დამატებითი კითხვებით მოგვმართეთ facebook-ის გვერდზე: საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია. სადაც ასევე განთავსდება ვიქტორინის შესახებ სრული ინფორმაცია.

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია წარმატებას გისურვებთ და შეგახსენებთ, რომ ვიქტორინას ფარგლებში ჩვენი პარტნიორები არიან:

გაზეთი „ახალი განათლება“, რედაქტორი – **მარიკა ჩიქოვანი**;

გამომცემლობა „ელფი“ და გამომცემლობის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი **თამარ დუღაშვილი**;

საქართველოს ოლიმპიელთა კლუბი „პრეზიდენტი“, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **კახი კახიაშვილი**;

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, მწერალი **გიორგი კეკელიძე**;

სატელევიზიო თამაში **„რა? სად? როდის?“**.

გამარჯვებული მონაწილეებისათვის საჩუქრები დააწესეს: გამომცემლობამ **„ელფი“** და **„საქართველოს ოლიმპიელთა კლუბმა“**.

P.S. ყურადღება! გაცნობებთ, რომ გაზეთი „ახალი განათლება სექტემბრამდე წყვეტს გამოსვლას, ამიტომ ვიქტორინის მსვლელობას თვალი ადევნეთ facebook-ის გვერდზე: **საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია**, სადაც ასევე განთავსდება ვიქტორინის შესახებ სრული ინფორმაცია. სექტემბრიდან გაზეთი განაახლებს გამოსვლას და კვლავ მოგაწვდით სრულ ინფორმაციას.

წარმოგიდგენთ საკონკურსო კითხვებზე პასუხებს

1. ვის შესახებ წერს ალ. დიუმა: „ყველგან ვეძებდი და ყველას ვეკითხებოდი მის ისტორიას, მაგრამ ვერაფერს წავაწყდი, გარდა გუნდოვანი გადმოცემებისა და ლერმონტოვის რამდენიმე ლექსისა, მაშინ როცა მისი ცხე-დარბაზები ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდაო“.

პასუხი: თამარ მეფის შესახებ.

2. „ულამაზესნი არიან დედამიწის ზურგზე“ – წერს დიუმა ქართველ ქალებზე. კონკრეტულად რომელი კუთხის ქალბატონებმა აღაფრთოვანა მწერალი?

პასუხი: მეგრელმა ქალბატონებმა.

3. ვინ გაიცნო დიუმამ დაღესტანში, ვის შესახებაც შემდეგ წერდა: „ეს იყო ქართველი თავადიშვილის ჭეშმარიტი ტიპი: მამაცი, ქველი, გულუხვი, სტუმართმოყვარე, პოეტური სულისა და წარმოსადეგი გარეგნობის კაცი“.

პასუხი: რომან ბაგრატიონი.

4. ქართველების რომელმა ჩვევამ გააოცა დიუმა, რის შესახებაც თქვა: „საინტერესო იქნებოდა რუს და ქართველთა შეჯიბრებაო“.

პასუხი: ღვინის სმამ.

5. რომელ ქართულ კერძს აღწერს და აქებს დიუმა განსაკუთრებულად?

პასუხი: მწვადს.

6. კავკასიური გარეგნობის აღწერისას, ადამიანის გარეგნობიდან, რას გამოჰყოფს და მოიხსენიებს, როგორც – „არაჩვეულებრივს“?

პასუხი: ცხვირს.

7. რომელმა კულტურულმა სანახაობამ მოხიბლა და აღაფრთოვანა დიუმა თბილისში?

პასუხი: თეატრმა.

8. „ჯალათებმა ერთ ხის ტახტზე დამაწვინეს, თავქვეშ სველი ბალიში ამომიდეს და ხელ-ფეხი გამიჭიმეს. მერე სათითაოდ ხელებში მეცნენ და სახსრების მტვრევა დამიწყეს. ეს ოპერაცია მხრებიდან დაიწყო და თითების უკანასკნელი სახსრებით დამთავრდა. შემდეგ ფეხებს მიჰყვეს ხელი. ფეხებს რომ მორჩნენ, კეფაზე, ხერხემალზე და წელზე გადავიდნენ. ეს ვარჯიში, რომელსაც თითქოს სახსრების სრული მტვრევა უნდა გამოეწვია, სრულიად გუნებრივად მიმდინარეობდა და ერთგვარად სასიამოვნოც კი იყო.“ – რის შესახებ წერდა დიუმა?

პასუხი: გოგირდოვან აბანოებსა და მექისეებზე.

9. რომელ ქალაქს გულისხმობდა დიუმა, როცა წერდა: „მე თითქმის ყველაფერი ვნახე აქ – ქართულ სამოთხეში, და მთელი ცხოვრების მანძილზე ისე ნაყოფიერად არსად მიმუშავია, როგორც ამ ქალაქში...“

პასუხი: თბილისს.

10. რამდენი ხანი დაჰყო დიუმამ საქართველოს დედაქალაქში?

პასუხი: 6 კვირა.

საერთაშორისო ფორუმი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ტურიზმის სამიტს უმასპინძლა

მაკა ყიფშიანი

26-28 ივნისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ტურიზმის სამიტს უმასპინძლა. სამიტის ორგანიზატორები იყვნენ: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ამსტერდამის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი და კავკასიის უნივერსიტეტი. სამიტში მონაწილეობდნენ ტურიზმის სფეროს წარმომადგენლები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან.

სამიტის მიზანი დასავლეთ ევროპისა და საქართველოს ტურიზმის სფეროს წარმომადგენლების შეხვედრა, მათ შორის გამოცდილების გაზიარება და სამომავლო სტრატეგიული თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვა იყო. პროგრამის ფარგლებში, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, დასწრებოდნენ სემინარებს და განეხილათ ინოვაციური ბიზნეს იდეები.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია „ტურიზმის სამიტი-2014“ საქართველოში პირველად ჩატარდა. ტურიზმის სამიტის გახსნის ოფიციალურ ცერემონიალზე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორმა, **ილიას ჩილოღლუმ** განაცხადა: *„სამიტის მიზანია, დასავლეთ ევროპისა და საქართველოს ტურიზმის სფეროს წარმომადგენლების შეხვედრა, მათ შორის გამოცდილების გაზიარება და სამომავლო სტრატეგიული თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვა. ეს არის პირველი პროექტი ჩვენს უცხოელ პარტნორებთან ერთად. დარწმუნებული ვარ, სამიტი ხელს შეუწყობს უცხოელების მოზიდვას და ტურიზმის განვითარებას რეგიონში. მსგავსი სახის საგანმანათლებლო ერთობლივი პროექტები სასარგებლოა არა მარტო ქვეყნის კეთილდღეობისთვის, არამედ თითოეული სტუდენტისთვის, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ამ პროექტებში. მომავალში ვგეგმავთ პროექტის გაფართოებას და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების ამოქმედებას“.*

სამიტის პირველ დღეს, საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ, ვრცელი პრეზენტაციები წარმოადგინეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის ტურიზმის მიმართულების სტუდენტებმა: **ციცი ჯანგიძემ**, **ხატია ხარძეიშვილმა** და **თამარ ქართლელიშვილმა** თემაზე – „ტურიზმი საქართველოში“ (ტურისტული ინდუსტრია, სასტუმრო ინდუსტრია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო); დაცული ტერიტორიების სააგენტოს უფროსმა **რატი ჯაფარიძემ**.

სამიტის მთავარი მომხსენებლები და მოდერატორები იყვნენ: ტურიზმისა და ეკონომიკის სპეციალისტი, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი საქართველოს პარლამენტში **მარინა მეტრეველი**; კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი **მაია სიდამონიძე**; საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტში **თორნიკე ზირაქიშვილი.**

თანაგრძნობა

სიკეთის კეთება ყველაზე დიდი მადლია ამ ქვეყანაზე...

ჩვენი სკოლის დირექტორმა, ბატონმა **თენგიზ გულორდავამ**, ურთიერთდახმარების, კაცთმოყვარეობის და გაჭირვებული ადამიანისათვის ხელის განოდების კარგი მაგალითი მოგვცა... ეს 4-5 თვის წინ დაიწყო, იმ დღიდან, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ მისი სკოლის VI კლასის მოსწავლეს, **დემურ ჩოფლიანს**, სასწრაფოდ ესაჭიროებოდა გულის ოპერაცია. ამ დღიდან მოსვენება დაკარგა, ყველას ყურამდე მიიტანა ბავშვის მდგომარეობა...

სკოლის მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო ღონისძიებაც დემურ ჩოფლიანის დასახმარებლად ჩატარდა. მზადების პროცესში მთელი კოლექტივი იყო ჩართული და ერთობლივი ძალისხმევით გასაკეთებელი გაკეთდა – სკოლის ეზოში გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი, სადაც დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა საკუთარი ხელით, დიდი სითბოთი და სიყვარულით შექმნილი სათამაშოების, სამკაულების გამოფენა-გაყიდვა მოაწყვეს და თავიანთი წვლილი შეიტანეს თანატოლის გადარჩენაში. უფროსკლასელებმა კი ცეკვით, სიმღერითა და თბილი სიტყვებით გაამხნევეს დემური.

საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ისან-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ნანა ჩეკურიშვილი**,უფროსი სპეციალისტები – **სოფო ტარასაშვილი** და **გიორგი ლურსმანაშვილი**; ამავე რაიონის საჯარო სკოლების დირექტორები: №131 – **ინგა ცერცვაძე**, №81 – **მაგდა ბარამიძე**, №83 – **ნინელი ადამაშვილი**, №124 – **დალილა ზუხბაია**, №105 – **ქეთევან ტურიაშვილი**, №85 – **გელა ჭანტურია**, №96 – **თამაზ დემეტრაშვილი**. მათ, აღსაზრდელებთან და მშობლებთან ერთად, ღირსეული წვლილი შეიტანეს საქველმოქმედო აღიციის ჩატარებაში.

კონცერტში მონაწილეობდნენ: ხალხური საკრავების ანსამბლი „კანდელი“, ხელმძღვანელი – **აკაკი კანდელაკი**; ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „სიჭაბუკე“, ხელმძღვანელი – **ხატია კაცაძე**; წმინდა გიორგის ტაძართან არსებული სამრევლო სკოლის შემოქმედებითი ჯგუფები: „მთქმელი“, კვარტეტი „მამულო“ და „ამაღლება“; №52 საჯარო სკოლის მესამეკლასელი **თეთე ბერძენიშვილი** და №85 საჯარო სკოლის მეათეკლასელი **მარიამ მამისმედიშვილი**.

ამ ღონისძიების გარდა, სკოლის დირექციამ, დემურ ჩოფლიანის კლასის ხელმძღვანელთან – **ლია ზურაბიშვილთან** ერთად, ჩაატარა სხვადასხვა აქტივობები: საბავშვო ჟურნალის „დილა“ საიუბილეო ღონისძიებაზე მოწვეულ იქნა ჟურნალის სარედაქციო კოლეგია. ისინი დემურის ნამუშევრებს გაეცნენ და, რაც ყველაზე ამაღელვებელია, მისი თანაკლასელების ჩანახატს, რომელსაც ბავშვებმა „სევდიანი გასეირნება“ უწოდეს იმ მიზეზით, რომ ერთ-ერთი გასეირნების დროს დემურმა, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ვერ შეძლო წასვლა. ქალბატონმა **თამუნა ნინიკაშვილმა**, ჩანახატის წაკითხვის შემდეგ, თანადგომის მიზნით, დემურის ნახატების ჟურნალში გამოქვეყნების სურვილი გამოთქვა, ასევე ჩანახატის „სევდიანი გასეირნება“. ამით დემურის მეგობრების გულისტკივილს მთელ საქართველოს გააგებინებენ.

VI კლასის მოსწავლეებმა საქველმოქმედო ღონისძიება სიღნაღშიც ჩაატარეს. შემოწირული თანხა სკოლის სამეურვეო საბჭომ დემურის საბანკო ანგარიშზე შეიტანა.

ყველას უღრმესი მადლობა მობრძანებისთვის და თანადგომისთვის. №106 სკოლის დირექციას, თანამშრომლებს და აღსაზრდელებს, კეთილ ადამიანებს ამით არ დაუმთავრებიათ საქველმოქმედო საქმიანობა, ჩვენ ვაგრძელებთ უანგაროდ სიკეთის კეთებას.

დაბოლოს, რითიც დავიწყეთ, იმითვე დავამთავროთ: სიკეთის კეთება ყველაზე დიდი მადლია ამ ქვეყანაზე. გთხოვთ, ყველამ „ჩვენი წილი გასაღები გავიღოთ“ და გვჯერა, რომ პატარა დემური, თითოეული ჩვენგანის დახმარებით და უფლის შეწევნით, მალე გამოჯანმრთელდება და დაუბრუნდება აქტიურ ცხოვრებას თანატოლებთან და მეგობრებთან ერთად.

ლია ზურაბიშვილი,
თეო ჯავახიშვილი
№106 საჯარო სკოლის
პედაგოგები

გადავარჩინოთ, მეექვსეკლასელი **დემურ ჩოფლიანის** სიცოცხლე, მას სასწრაფოდ ესაჭიროება გულის ოპერაცია.

მიმღების ბანკი:
ს.ს **„საქართველო ბანკი“,**
ბანკის კოდი – BAGAGE22 ,
ანგარიშის ნომერი –
GE43BG0000000814228900
„ლიბერთი ბანკი“,
ბანკის კოდი – LBRTGE22,
ანგარიშის ნომერი –
GE29LB0711102100700040
დარეკეთ მაგთის და ბილაინის ნომრებიდან – **0901700132.**

ერთად მოვუაროთ ხელნაწერებს

სიძველეთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საცავი 56 წლისაა

ლალი ჯელაძე

„ჩვენ – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“ – ასე ერქვა გამოფენა-პრეზენტაციის ფორმატით წარმოდგენილ ცენტრის საქმიანობის ანგარიშს, რომელიც 30 ივნისს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, დაწესებულების დაარსების დღესთან დაკავშირებით, საზოგადოებას წარუდგინა.

ხელნაწერთა ცენტრი უმთავრესი დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც იცავს და იკვლევს ჩვენი ქვეყნის ხელნაწერ მემკვიდრეობას. საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული სიძველეთსაცავი, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულება, ქართველოლოგიური კვლევების ერთ-ერთი უმთავრესი კერა, 1958 წელს, ილია აბულაძის ინიციატივით დაარსდა და 2007 წლამდე მას ხელნაწერთა ინსტიტუტი ერქვა.

ცენტრის უნიკალური კოლექცია, ფაქტობრივად, მთელი ჩვენი ისტორიული მეხსიერებაა. აქ დაცულია უძველესი ქართული და უცხოური ხელნაწერი წიგნები, ისტორიული დოკუმენტები, ცნობილი ქართველი მოღვაწეების ნაშრომები, ავტოგრაფები, პირადი არქივები, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების სრული კოლექცია...

მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დაარსებიდანვე მრავალპროფილიანი სამეცნიერო დაწესებულება იყო, პრიორიტეტი, ტრადიციულად, მაინც ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის სამეცნიერო კვლევებს ენიჭებოდა, რის შედეგადაც დაწესებულებაში საკმაოდ ძლიერი ქართველოლოგიური კვლევითი ბაზა ჩამოყალიბდა. ბოლო წლებში, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ტრადიციული სკოლის შენარჩუნების პარალელურად, ახალი მიმართულებების განვითარებასაც შეეცადა. 2007 წელს, სახელის შეცვლით, დაწესებულების განახლების პროცესიც დაიწყო. მეტი ყურადღება დაეთმო საზოგადოებასთან ურთიერთობას, გამოფენებს, ცენტრის კოლექციისა და საქმიანობის პოპულარიზებას.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დაარსების დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე, სხვადასხვა საგამოფენო და საპრეზენტაციო საშუალებებით, წარმოდგენილ იქნა 2007-2014 წლების საქმიანობის ანგარიში. ამგვარი შეჯამება საინტერესო აღმოჩნდა როგორც მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებისთვის, ისე ფართო საზოგადოებისთვის, სახელმწიფო და კერძო უწყებებისთვის. დამთვალიერებელმა იხილა ცენტრის სამეცნიერო, კულტურული და საზოგადოებრივი საქმიანობის, საერთაშორისო თანამშრომლობის ამსახველი საილუსტრაციო მასალა, სხვადასხვა სივრცეებში ლოკალიზებული ფოტოგამოფენები, ბოლო წლების განმავლობაში შემოწირული ხელნაწერები, ცენტრის გამოცემები.

სტუმრები საგანმანათლებლო პროგრამებსაც გაეცნენ – კალიგრაფიის კონკურსი, სტაჟირებისა და სტიპენდიის პროგრამები. სპეციალურად ბავშვებისთვის გაიმართა წიგნის რესტავრაციის ვორქშოფი, პატარებმა მიიღეს ინფორმაცია წიგნთან ურთიერთობის წესების შესახებ. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, სპეციალურ კუთხეში, ცენტრის ელექტრონული ბაზებისა და რესურსების გაცნობა შეეძლო.

კინოდარბაზში სტუმრები ცენტრის შესახებ მომზადებული დოკუმენტური ფილმებისა და სიუჟეტების რეტროსპექტივაზე მიიპატიჟეს.

საზოგადოებას ცენტრის სამომავლო გეგმებისა და საჯარო ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობა მიეცა.

ნესტან ბაგაური, განათლებისა და გამოფენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი: *„გადავწყვიტეთ, ერთგვარი გამოფენა-ანგარიში შეგვეთავაზებინა არა მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვის. ცენტრი 56 წლის ხდება და გვინდა, საზოგადოება შემოგვირთდეს თარიღის აღნიშვნაში.“*

* * *

1958 წლის 30 ივნისს, პროფესორ ილია აბულაძის ინიციატივით დაარსდა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში თავმოყრილია სხვადასხვა დროს სხვადასხვა წიგნთსაცავსა თუ კერძო კოლექციაში დაცული ქართული კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი საგანძური: მდიდრულად ილუსტრირებული უნიკალური ხელნაწერები, ძველნაბეჭდი და რარიტეტული გამოცემები, მემორიალური ნივთები და სხვ.

აქ დაცული უნიკალური კოლექცია მრავალ დარგსა და სფეროს მოიცავს: ისტორია, გეოგრაფია, მოგზაურობა, სამართალი, ლექსიკონები, სამკურნალო წიგნები, მხატვრული ლიტერატურა, ბიბლიური ტექსტები, აგიოგრაფია, საეკლესიო სამართალი, ფილოსოფია, ასტროლოგია, მათემატიკა, სამხედრო საქმე და სხვ.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში თავმოყრილია:

– V-XIX საუკუნეების 10 000-მდე ქართული (მათ შორის 4 000-მდე უმნიშვნელოვანესი პალიმფსესტური ფურცელი) და 4 000-მდე უცხოური (არაბული, სპარსული, თურქული, რუსული, სომხური, ბერძნული, ფრანგული, გერმანული, ლათინური, ებრაული, პოლონური, ინგლისური, ჩეხური, სირიული, ეთიოპიური, მონღოლური და სხვ.) ხელნაწერი;

– X-XIX საუკუნეების 40 000-მდე ქართული და 5 000-მდე უცხოენოვანი ისტორიული დოკუმენტი, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სპარსული და თურქული დოკუმენტები, მათ შორის კი – შაჰის ფირმანები, ოქმები...

– ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები, მათ შორის ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის და სხვათა არქივები. აქვეა დაცული გრიგოლ წერეთლის სრულიად უნიკალური პაპირუსთა კოლექციაც.

– საქართველოსა და საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებსა და კერძო კოლექციებში დაცულ ქართულ და უცხოენოვან ხელნაწერთა და ისტორიულ დოკუმენტთა ფოტოასლები და მიკროფირები. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ათონის ივირონის მონასტრის, სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრისა და იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ქართულ ხელნაწერთა ფოტოპირები.

ცენტრს მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა აქვს, სადაც რარიტეტული და უახლესი ქართული და უცხოური გამოცემების გვერდით ინახება ძველნაბეჭდი წიგნების ძვირფასი კოლექცია, მათ შორის, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი – ქართულ-იტალიური ლექსიკონი (1629) და ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი სახარება (1709), დავითნი (1711), შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა (1712) და სხვ. ბიბლიოთეკის ძირითად ფონდებში დაცულია ჰუმანიტარული მიმართულების 60 ათასამდე ქართული თუ უცხოენოვანი წიგნი.

ცენტრში ფუნქციონირებს კორნელი კეკელიძის, ივანე ჯავახიშვილის, ილია აბულაძის, ნიკო ბერძენიშვილის, ელენე მეტრეველის, შალვა ამირანაშვილის მემორიალური კაბინეტები. აქვეა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველების, ჟურნალ „ბედი ქართლისას“ დამაარსებლების – კალისტრატე და ნინო სალიების – სახელობის კაბინეტი.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიმართულებას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარმოადგენს. ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: საქართველოსა და უცხოეთის საცავებში დაცული ხელნაწერი წიგნების, ისტორიული დოკუმენტებისა და პირადი არქივების აღწერა, სისტემატიზაცია, შესწავლა, პუბლიკაცია და მონაცემთა ბაზების შექმნა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან.

ცენტრში ფუნქციონირებს რესტავრაცია-კონსერვაციისა და დიგიტალიზაციის ლაბორატორიები.

* * *

ბუბა კუდავა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი: *„1958 წელს ილია აბულაძის ინიციატივით დაარსებულ ხელნაწერთა ინსტიტუტს 2007 წელს შეეცვალა სახელი და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დაერქვა, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარს ვამბობთ ჩვენს მემკვიდრეობაზე – წინა ათეულ წლებზე, როდესაც ჩვენი დაწესებულება ერთ-ერთ მოწინავე ქართველოლოგიურ კვლევით ცენტრად იქცა. 2007 წელს სახელწოდების შეცვლა იყო ერთგვარი განაცხადი. დღეს დადგა დრო, როცა ამ დაწესებულებას უნდა მიეცეს კიდევ ბევრი დამატებითი ფუნქცია. გასაგები მიზეზების გამო, საბჭოთა პერიოდში ბევრი რამ ვერ ხერხდებოდა, დღეს კი, ვფიქრობთ, დადგა დრო, როდესაც ჩვენი უნიკალური კოლექციის პოტენციალი სათანადოდ უნდა იქნეს გამოყენებული, ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 2007 წლის შემდეგ, ვეცადეთ, უფრო მეტი ყურადღება დაგვეთმო, კვლევითი პროექტების გარდა, საგანმანათლებლო თუ საგამოფენო პროექტებისთვის.*

დღეს შევეცადეთ ერთიანობაში გვეჩვენებინა საზოგადოებისთვის ყველა ის მიმართულება, რომელიც უკანასკნელ წლებში გააქტიურდა, ამასთანავე სამომავლო გეგმების შესახებ ვისაუბრეთ, სხვადასხვა ფორმებით გაკეთდა პრეზენტაციები და, ვფიქრობთ, ვალდებულები ვართ, პერიოდულად საზოგადოებას ჩავაბაროთ ანგარიში და ესეც თანამშრომლობის ერთგვარი ფორმაა.

უკანასკნელ წლებში, ჩვენთან, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროექტი განხორციელდა, წლიური გეგმების საფუძველზე თუ სხვადასხვა მოპოვებული გრანტების ფარგლებში. ერთ-ერთი ასეთი პროექტი ელექტრონული რესურსების შექმნას გულისხმობდა. შეიქმნა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ბაზა, რომლით სარგებლობა ნებისმიერ ადამიანს თუ მეცნიერს ონლაინ რეჟიმში შეუძლია. მაგალითად, ჩვენ განვახორციელეთ პროექტი – ისტორიული დოკუმენტების დიგიტალიზაცია და მონაცემთა ბაზა, რომელშიც შევიდა ინფორმაცია ძალიან ბევრ ისტორიულ დოკუმენტზე.

ჩვენს ცენტრში ბევრი უნიკალური ნიმუშია დაცული, მათ შორის შემიძლია დავასახელო თამარ მეფის ერთადერთი ხელმოწერა – ხელრთვა. სამწუხაროდ, მისი ერთადერთი ხელნაწერი ნიმუშია შემორჩენილი. ყველა ძეგლი თავისებურად უნიკალურია და თავისებური დატვირთვა აქვს.

მაგალითად, ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია ვანის სახარება, რომელიც გახლავთ თამარ მეფის პირადი ხელნაწერი, რომელიც მისთვის სპეციალურად გადაინერა კონსტანტინოპოლის ქართველთა მონასტერში.

ასევე შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენთან დაცულია ჯრუჭის სახარება, რომელიც მეათე საუკუნით თარიღდება და, რაც მთავარია, ეს არის წიგნის მხატვრობის ერთ-ერთი პირველი ნიმუში – მეცხრე საუკუნის ბოლოდან მეათე საუკუნით დათარიღებული. რადგან ჩვენს ცენტრს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ჰქვია, მიაჩნიათ, რომ აქ მხოლოდ ხელნაწერი წიგნები ინახება, თუმცა, ეს ზოგადი სახელწოდებაა და ჩვენთან, ხელნაწერი წიგნების გარდა, დაცულია ისტორიული დოკუმენტები გამოცემული მეფეთა, კათალიკოსთა და სხვათა მიერ; ასევე არის პირადი არქივები და ძველი ნაბეჭდი წიგნების სრული კოლექცია – ერთი ეროვნულ ბიბლიოთეკაშია და მეორე – ჩვენს ცენტრში. გვაქვს პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები.

ამ უნიკალური კოლექციის ერთად შეკრების და დაწესებულების ცალკე დაარსების არსი ის არის, რომ ეს არ იყოს მხოლოდ საცავი. შევეცადეთ, სხვადასხვა პროექტებით კვლევითი სამუშაოებისა და საერთოდ კოლექციის პოპულარიზება. ბოლო წლებში, ძალიან გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც გაიგეს ასეთი დაწესებულების არსებობა.

საერთაშორისო მასშტაბი ერთ-ერთი პრიორიტეტია ცენტრისთვის. ათონის მთაზე იგეგმება პროექტი, რომლის ფარგლებშიც, ორი წლის განმავლობაში, ქართველი მეცნიერები ათონზე დაცულ ქართულ ხელნაწერებს შეისწავლიან და აღრიცხავენ. ათეული წლებია, რაც ჩვენს ცენტრში ამ პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს და ეს ორი წელი საშუალებას მოგვცემს, დავასრულოთ და გამოვცეთ ამ ხელნაწერების ერთიანი ქართულ-ინგლისური კატალოგი, აღწერილობა. მსგავსი პროექტები გვაქვს განსახორციელებელი სხვა ცენტრებთან დაკავშირებით.“

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი არქივის ფუნქციას ითავსებს, ის კოლექციას მუდმივად აახლებს, ძირითადად, შემოწირულობებით, რაც უკვე ტრადიციად იქცა. ბოლო წლების განმავლობაში, კოლექცია რამდენიმე ათეული ერთეულით შეივსო. მთელი ეს მასალა სამ ძირითად საცავშია გადანაწილებული, სადაც შესაბამისი პირობებია დაცული, ნიმუშები რომ არ დაზიანდეს. საცავის ტემპერატურა 16-18 გრადუსზე უნდა მერყეობდეს, ტემპერატურის შენარჩუნებასთან ერთად, აუცილებელია ტენიანობის შენარჩუნებაც, რომლის სისტემა უკვე მოძველებულია და, სულ მალე, მას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით შეძენილი კლიმატ კონტროლის მარეგულირებელი თანამედროვე აპარატი შეცვლის.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ახალგაზრდებსა და მოსწავლეებში განსაკუთრებით პოპულარული კალიგრაფთა კონკურსმა გახადა. ბოლო რამდენიმე წელია, კალიგრაფთა კონკურსში მონაწილეთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება და ახალგაზრდები ერთმანეთს კალიგრაფიის უკეთესი ნიმუშის შექმნაში ეჯიბრებიან. სულ მალე, ქართველ კალიგრაფებს უცხოელი კალიგრაფებიც შეუერთდებიან და პროექტი საერთაშორისო გახდება. ცენტრის მიერ დაარსებულ საზაფხულო სკოლას, რომელიც უკვე ოთხი წელია არსებობს, წელს 10 ქვეყნის წარმომადგენელი ეწვევა. ეს პროექტი ქართული კალიგრაფიისა და ქართული ხელნაწერის საერთაშორისო ასპარეზზე გატანის საუკეთესო მცდელობაა.

ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში **კონსტანტინე სურგულაძე**, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **კოტე კუბლაშვილი**, საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მოწვეულმა სტუმრებმა ერთობლივი პროექტების ამსახველი გამოფენა დაათვალიერეს, ასევე შეხვდნენ ცენტრის თანამშრომლებს და მათ საქმიანობას გაეცნენ. თამარ სანიკიძემ ისაუბრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგეგმილ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და აღნიშნა, რომ სამინისტრო იწყებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ახალი, თანამედროვედ აღჭურვილი შენობის საპროექტო სამუშაოებს.

P.S

„ახალი განათლების“ რედაქცია ულოცავს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს 56 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ბევრი საინტერესო პროექტის განხოციელებას, ჩვენ კი, ტრადიციულად, ვეცდებით მკითხველს შევთავაზოთ ცენტრის საქმიანობის ამსახველი წერილები.

დამთავრდა სასწავლო წელი

მასალა რუბრიკისთვის
მოამზადა
ლალი მარგიანმა

ტრადიციების მქონე ლახამულას სკოლამ, დირექტორის – **ნაზი ჭიღლაძე-საბანიძის** ხელმძღვანელობით, კიდევ ერთ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი – ყველა მეცხრეკლასელი, რომელიც სკოლას დაამთავრებს, თითო ხეს დარგავს. წელს ლახამულის საჯარო სკოლა (ცხრა კლასი) **ანრი დავითიანმა, ბეთქილ** და **ლედი ჭკადუებმა** დაამთავრეს. სკოლის ეზოში მათ სამი აკაციის ნერგი დარგეს, რომლებზეც მომავალი მეცხრეკლასელები იზრუნებენ.

სკოლის კურსდამთავრებულებს ღირსეული გაცილება მოვუწყვეთ. საზეიმო საღამო დიზში, რესტორან „მახვშის“ დარბაზში ჩატარდა. პედკოლექტივის გარდა მოწვეული გვყავდნენ სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთაც გზა დაულოცეს ახალგაზრდებს.

მინდა მადლობა გადავუხადო, ისევ და ისევ, ჩემი სკოლის დირექტორს – ნაზი საბანიძეს თანადგომისთვის, მხარდაჭერისთვის, ასევე, **ნოდარ საბანიძეს, ავთანდილ ჭკადუას, ვალოდია ჭკადუას**, რომლებიც არა მარტო გამოსაშვებ საღამოზე, არამედ ყოველთვის აქტიურად დგანან ახალგაზრდების გვერდით და საუკეთესო მაგალითს აძლევენ მომავალ თაობას – იყვნენ ღირსეული შთამომავლები ღირსეული წინაპრებისა.

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებს კი ვუსურვებ, არასოდეს დავიწყებოდეთ, რომ მათ უკან ღირსეული წარსულის მქონე სოფელი დგას!

კულტურული მემკვიდრეობის ნორჩი ქომაგები

2012 წელს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მხარდაჭერით, საფუძველი ჩაეყარა შემეცნებით კონკურსს უფროსკლასელთათვის „გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“.

2013 წელს გამოცხადებულ კონკურსში – „ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“ – ლენჯერის სკოლას სამი ნამუშევარი ჰქონდა წარდგენილი: ხეზე კვეთა და ორნამენტები (**ქრისტინე შუკვანი**, პედაგოგი – **ელისო გულედანი**), სვანური ფოლკლორული მუსიკალური საკრავი „ჭუნირი“ (**სალომე წიფიანი**, პედაგოგი – **ლია შუკვანი**), ქვისგან კირის გამოწვა (**მარიამ გულედანი**, პედაგოგი – **მაია გულედანი**). ფარიდან ექვსი გამარჯვებული იყო. ყველა პროექტს ხელმძღვანელობდა პედაგოგი **ეკატერინე წულუკიძე** – სვანური ქუდი (**ნათია ვიბლიანი**), უღელი (**დათო ნარსავიძე**), ცხემდი, ანუ მშვილდი (**დიმა წულუკიანი**), კამკები, ანუ ციგურები (**ომარ აფრასიძე**), ტყავის დამუშავების უძველესი ტექნოლოგია (**ზაზა კვიციანი**), მარხილი (**შმაგი ნარსავიძე**). ლახამულიდან ოთხი ნამუშევარი დაჯილდოვდა: ოქროს მოპოვების უძველესი წესი (**ლუკა კვირიკაძე, ანრი დავითიანი, ბაჩუკი ჭკადუა; პედაგოგი – მარიჯან ჭკადუა**), კირის დამზადება-გამოწვა (**დავით და ლუკა კვირიკაძეები, მარიკა დავითიანი**, პედაგოგი – **ირმა გურჩიანი**), ჭედვა (**ბეთქილ ჭკადუა**, პედაგოგი – **ლალი მარგიანი**), სვანური ხალხური საკრავები (**ბეთქილ ჭკადუა, ლექსო ჭკადუა**, პედაგოგი – **ლალი მარგიანი**).

მცნება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“ ახალია და, მატერიალურისგან განსხვავებით, ის ადამიანის სულიერი მოღვაწეობის სფეროს განეკუთვნება და ნიშნავს თემების, პირთა ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული ადამიანების მიერ, მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აღიარებულ ტრადიციას, წარმოდგენებსა და გამოსახვის ფორმებს, შესაბამის ცოდნასა და ჩვევებს, ასევე მათთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებს, ტექნოლოგიებს, საგნებს, არტეფაქტებს და კულტურულ სივრცეებს. გარემო პირობების, ბუნების ზემოქმედებისა და ისტორიის შესაბამისად, არამატერიალური მემკვიდრეობა განიცდის მუდმივ განახლებას, თემსა და პიროვნებაში აყალიბებს იდენტობას და მემკვიდრეობითობის გრძნობას და ხელს უწყობს კულტურათა მრავალფეროვნებისა და ადამიანის შემოქმედების პატივისცემას.

არამატერიალური კულტურა მისი მატარებლისთვის წარმოადგენს იდენტობის განმსაზღვრელს!

7 ივნისს, თბილისში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, გაიმართა გამარჯვებული ნაშრომებისა და მათი ავტორების დაჯილდოება. სვანეთის სამი სკოლა – ლენჯერის №1, ფარისა და ლახამულის საჯარო სკოლების გამარჯვებული მოსწავლე-მასწავლებლები ერთად გავემგზავრეთ დედაქალაქში. გამარჯვებულებს გადმოგვეცა სიგელები „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“ და სასაჩუქრე წიგნების კომპლექტები. ჯილდოები გადმოგვცა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა **გურამ ოდიშარიამ**. დაჯილდოებამ თბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. ბატონმა გურამმა ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ მას სვანეთი განსაკუთრებით უყვარს და პატივს სცემს მის ტრადიციებს. მადლობის ნიშნად ჩვენ ის ლახამულაში დავპატიჟეთ....

კონკურსისთვის „ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“ გამოვლენილი გამარჯვებული მასალა ორ სახეობად დაიყო: „საუკეთესო ნაშრომები“ – 26 და „საფრთხის ქვეშ მყოფი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტები“ – 17; ორი ნამუშევარი განსაკუთრებული კატეგორიით აღინიშნა. ყველა გამარჯვებული ნაშრომის ფრაგმენტი დაბეჭდილია ბუკლეტში „არამატერიალური მემკვიდრეობის ქომაგი“.

წლევანდელ კონკურსზე გამოვლინდა „ცოცხალი საუნჯის“ სტატუსის პრეტენდენტი. ის გახლავთ ახალციხის რაიონის სოფელ მუსხის უხუცესი მკვიდრი, ქალბატონი **მარიამ ჟუჟუნაძე**.

ჩვენი ნაშრომებიდან სვანური ფოლკლორული მუსიკალური საკრავი „ჭუნირი“ (ლენჯერი), უღელი (ფარი), კამკები ანუ ციგურები (ფარი), ტყავის დამუშავების უძველესი ტექნოლოგია(ფარი), ოქროს მოპოვების უძველესი წესი (ლახამულა), სვანური ხალხური საკრავები (ლახამულა), ქვისგან კირის გამოწვა (ლენჯერი), კირის დამზადება-გამოწვა (ლახამულა), მარხილი(ფარი), ჭედვა(ლახამულა) გამოვლინდა, როგორც „საფრთხის ქვეშ მყოფი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტების“კატეგორიაში გამარჯვებული ნაშრომები. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ საქართველოს კუთხეების კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად.

მინდა მადლობა გადავუხადო მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას საწვავით უზრუნველყოფისთვის, ჩვენს დირექტორს, ქალბატონ **ნაზი ჭიღლაძე-საბანიძეს**, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას და თანადგომას გვიწევს ყველა აქტივობის განხორციელებაში, ამჯერადაც მისი მხარდაჭერით შევძელით დედაქალაქში ჩამოსვლა. სამწუხაროა, რომ გამარჯვებული სკოლების ნაწილმა ეს ვერ მოახერხა და ცერემონიალს ვერ დაესწრნენ გამარჯვებულები.

მადლობას ვუხდი ჩვენს მძღოლს **ერეკლე ცალანს** გაწეული მომსახურებისთვის!

პროფესია პედაგოგი

ახალგაზრდებს, ვინც მასწავლებლის პროფესიას ირჩევს

კარგა ხნის წინ გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ გამოაქვეყნა კვლევის შედეგები მოთხოვნადი პროფესიების შესახებ – დასახელებულ 10 პროფესიაში მასწავლებელს ბოლო ადგილი ეკავა. გაზეთი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ მასწავლებლის პროფესია ნაკლებად პრესტიჟულია. მიმდინარე წლის მონაცემებით, იმავე გაზეთის ფურცლებზე, კვლავ გამოქვეყნდა ცნობა პრესტიჟული პროფესიების შესახებ და მასწავლებელი პირველ ათეულშიც კი არ არის ნახსენები.

ჩემთვის, როგორც ხანდაზმული პედაგოგისთვის, ეს ახალი ამბავი არ ყოფილა. ათეული წლებია დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს ვეკითხები – რა პროფესიას ირჩევენ, სამწუხაროდ, იშვიათად მხვდება მასწავლებლის პროფესიის მსურველი ახალგაზრდა. ვფიქრობ, ეს კარგა ხანი გაგრძელდება, თუ სახელმწიფოებრივ დონეზე არ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები სკოლისა და მასწავლებლის დასახმარებლად. თქვენი გაზეთის რუბრიკა – პროფესია პედაგოგი – ახალგაზრდა მასწავლებლებს ეთმობა. ხანდაზმული პედაგოგი, თავს უფლებას ვაძლევ, ამ რუბრიკას გამოვეხმაურო, რადგან მიმაჩნია, რომ ჩემი ნახევარსაუკუნოვანი პედაგოგიური გამოცდილება, დიდი სიყვარული და გულშემატკივრობა ამ პროფესიისადმი უფლებას მაძლევს, გაგიზიაროთ ჩემი აზრები.

სკოლა ქვეყნის მომავალს უყრის საფუძველს. სკოლა ორი პიროვნების – მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა, თანამშრომლობა, თანაცხოვრებაა. ვისაც ქვეყნის მომავალი აინტერესებს, ამ ორი პიროვნების წარმატებულ შედეგზე უნდა იზრუნოს, სკოლის ადმინისტრაციიდან დაწყებული სახელმწიფოს მეთაურით დამთავრებული. ამასთან ერთად, ოჯახისა და საზოგადოების როლი ცალკე უმნიშვნელოვანესი თემაა.

განათლების სისტემას დიდი ზიანი მიაყენა საბჭოთა პერიოდში წარმოქმნილმა მავნე სოციალურმა დაავადებამ, ე. წ. „დიპლომომანიამ“. მაშინ ახალგაზრდების დიდი ნაწილი, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სპეციალობას ირჩევდა არა პროფესიული ინტერესით, არამედ დიპლომისათვის. მასწავლებლობის მსურველი მაშინაც ნაკლები იყო, დიპლომი ადვილად მოიპოვებოდა. დიპლომიან ახალგაზრდას კი სამსახური გარანტირებული ჰქონდა, განსაკუთრებით, პარტიულ სამუშაოზე.

დიპლომისთვის სწრაფვა ახლაც იგრძნობა. ამ სურვილის დაკმაყოფილებას ხელს უწყობს მომრავლებული უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა დიდ ნაწილს პედაგოგიური ფაკულტეტები აქვთ. ამ ფაკულტეტებზე კონკურსი შედარებით დაბალია, ვიდრე მოთხოვნად ფაკულტეტებზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, უმაღლესი სასწავლებლების გარკვეულ ნაწილს, ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე, მეტი სტუდენტური კონტინგენტი აინტერესებს. ამ ინტერესს დიპლომის მაძიებელთა დიდი არმია აკმაყოფილებს, რომელიც სწავლის დამთავრების შემდეგ ხვდება სკოლაში. მათი პროფესიული ინტერესი დაბალია, მთავარია სამსახური, თუნდაც იმ მიზერულ ხელფასზე, რაც დღეს მასწავლებელს აქვს.

შედეგი სახეზეა – ცოდნის დაბალი ხარისხი, რომლის შესახებაც თქვენი გაზეთის ფურცლებზე ის ახალგაზრდები საუბრობენ, რომლებიც განათლებას საზღვარგარეთ იღებენ. თქვენი გაზეთიდან ვიცი, რომ ცოდნის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან ევროპის, განსაკუთრებით კი სკანდინავიის ქვეყნები: ფინეთი, ნორვეგია, შვედეთი. ისინი ევროპის ეკონომიკურად უფრო ძლიერ და განვითარებულ ქვეყნებსაც კი უსწრებენ.

ფინეთში უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე დიპლომიანი ახალგაზრდა, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მოსამზადებელ სამუშაოს გადის, სანამ სკოლაში შესვლის და გაკვეთილის ჩატარების უფლებას მოიპოვებს.

სასურველი იქნებოდა, თუ თქვენი გაზეთის რუბრიკა „პროფესია პედაგოგი“ ამ საკითხს ყურადღებით მოეკიდება.

უმთავრესი კი შემდეგია: განათლების ხარისხის ამაღლებისათვის, სახელმწიფოს მხრიდან, მასწავლებლის შრომის დაფასებაა საჭირო.

P.S. ახალგაზრდებს, რომლებიც მასწავლებლის პროფესიას ირჩევენ, ვუძღვნი სამახსოვროს:

ჩემო ახალგაზრდა კოლეგავ!

❖ მასწავლებლობა განგებისგან ნაბოძები მოვალეობაა, იზრუნე მისი კეთილსინდისიერად შესრულებისათვის.

❖ მასწავლებლობა ღვთით კურთხეული ნიჭია, რომელიც ყველას არ გააჩნია. თუ გრძნობ, რომ ეს ნიჭი გაქვს, ფუჭად ნუ ფლანგავ.

❖ მასწავლებლობას მხოლოდ წიგნით ვერ ისწავლი; წიგნი გაძლევს ცოდნას, ცოდნა ერთი აუცილებელი პირობაა მასწავლებლობისათვის.

❖ მასწავლებლობას სჭირდება საქმის სიყვარული, თუ ბავშვი არ გიყვარს, ნუ მოჰკიდებ ხელს მასწავლებლობას. შეიცოდე ბავშვები!

❖ მასწავლებლობას სჭირდება ბავშვის სიყვარული. თუ ეს საქმე არ გიყვარს, ნუ მოჰკიდებ მას ხელს. შეიცოდე შენი თავი!

❖ მასწავლებლობა ბავშვებთან ურთიერთობაა; თუ ეს არ გამოგდის, დროს ტყუილად ნუ დაკარგავ. გახსოვდეს, სიცოცხლე ერთხელ გეძლევა.

❖ მასწავლებლობა ვერ ეგუება ტყუილს, ყალბს, მოჩვენებითს, ზერელეს.

❖ მასწავლებლობა თავგანწირვაა. თუ ამის შნო არ გაქვს, მასწავლებელი ვერ იქნები!

ახლა ხშირად მოისმენ: „გადავარჩინოთ კულტურა და კულტურა გადაგვარჩენს ჩვენ“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – ორივე აზრს ვეთანხმები და ვაგრძელებ:

საქართველოს, მის კულტურას და მრეწველობას გადაარჩენს ქვეყნის მომავალი თაობა, რომელიც დღეს მერხთან ზის. გაუფრთხილდი საქართველოს მომავალს, იზრუნე საქართველოს გადარჩენისათვის!

ნინო კარიაული
თბილისის მე-60 საჯარო სკოლის
გეოგრაფიის მასწავლებელი

ინფორმაცია

სამედიცინო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა თემაზე – „პროექტით TEMPUS MUMEENA მიღწეული წარმატებები და სამედიცინო განათლების მომავალი აღმოსავლეთ ევროპაში“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**.

TEMPUS MUMEENA ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტემპუსის სამწლიანი პროექტია – „დიპლომამდელი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროგაერთიანების აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“.

კონფერენციაში მონაწილეობდა პროექტის განმახორციელებელი ყველა პარტნიორი ქვეყანა: ლიდსის (დიდი ბრიტანეთი), უტრეხტის (ნიდერლანდები), გრანადის (ესპანეთი), რომის საკრეკორის (იტალია), კიევის და ივანო-ფრანკოვსკის (უკრაინა), ბაქოსა და ნახიჩევანის (აზერბაიჯანი), თბილისის სამედიცინო და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტები.

კონფერენციას უძღვებოდა პროექტის კოორდინატორი – ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) პრეზიდენტი, ლიდსის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **ტრუდი რობერტსი**. ქართველი პროფესორების გარდა, კონფერენციაში, პარტნიორი უნივერსიტეტებიდან დარგის 23 უცხოელი წარმომადგენელი მონაწილეობდა.

პროექტის მიზანი – დიპლომამდელი სამედიცინო განათლების ინტეგრირებული კურიკულუმის შემუშავება ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის, სამედიცინო განათლების მარეგულირებელი თემატური ასოციაციის MEDINE და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის სტანდარტების შესაბამისად.

პროექტის საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, აკადემიური განვითარების ცენტრი ჩამოყალიბდა, სადაც, 2011 წლიდან, სისტემატურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის გადამზადება.

პროექტის მიმდინარეობა ევროკომისიის წარმომადგენელმა **კლაუს ჰაუპტმა** პოზიტიურად შეაფასა ოფიციალურ წერილში, რომელიც 2013 წლის მაისში გაუგზავნა პროექტის კოორდინატორს, ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის პრეზიდენტს, პროფესორ ტრუდი რობერტს. წერილში აღნიშნულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიდი წვლილი პროექტის წარმატებით განხორციელების პროცესში, სახელდობრ, აკადემიური განვითარების ცენტრის შექმნა, რომელიც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და პროექტის კოორდინატორის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია.

აღნიშნულმა პროექტმა და სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდების დანერგვამ მკვეთრად გაზარდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეიტინგი – მონაწილეობს ევროპაში სამედიცინო განათლების ძირითადი მარეგულირებელი ორგანიზაციების – ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) და MEDINE – სამუშაო ჯგუფებში, სადაც მიმდინარეობს სამედიცინო განათლების სტანდარტების შემუშავება და ნორმატიული დოკუმენტების შექმნა. საყურადღებოა, რომ MEDINE-ს სამუშაო ჯგუფებში ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების უნივერსიტეტებიდან მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და ანკარის უნივერსიტეტები შედის.

არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა ახალ ფაზაში გადადის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქართულ კოალიციაში „განათლება ყველასათვის – საქართველოში“ შემავალი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეხვდა და მათთან თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქართულ კოალიციაში შემავალი ორგანიზაციებია: განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი; ასოციაცია „სკოლა, ოჯახი, საზოგადოება“; კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი; სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი; სიქა – საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაცია; მოძრაობა „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“. ხელშეკრულების ხელმომწერია, ასევე, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი.

მემორანდუმის ფარგლებში, ზოგადი განათლების საკითხებზე, დაიწყება თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებასა და არასამთავრობო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის.

მემორანდუმის მიზანია ზოგადი განათლების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ზოგადი განათლებისა და „განათლება ყველასათვის“ მიზნების მისაღწევად – პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია, ზოგადი განათლების განვითარების პოლიტიკის დიალოგის წარმართვა, მონაწილეობითი მიდგომის განვითარება და ბენეფიციარების ფართოდ ჩართვა ზოგადი განათლების სფეროში მონიტორინგის, შეფასებისა და დაგეგმვის პროცესებში როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე.

ანალოგიური თანამშრომლობა ხელს შეუწყობს განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობას და მასში დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას.

ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა ამოქმედდა

16 ივნისს „ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების პროგრამა“ დაიწყო და მისი მონაწილეები ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების მესამე ტურის შედეგების საფუძველზე შერჩეული მე-9, მე-10 და მე-11 კლასის წარმატებული მოსწავლეები არიან. პროექტის მიმდინარეობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** გაეცნო.

პროექტი ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა – „თბილისის“ ბაზაზე ხორციელდება და ორ ქვეპროგრამას მოიცავს: „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლები საქართველოში“ და „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლები გაერთიანებულ სამეფოში“.

პროგრამაში 600 მოსწავლე 4 ნაკადად მონაწილეობს, საიდანაც 32 საუკეთესო მოსწავლე (8 – თითოეული ნაკადიდან), სამინისტროს სრული დაფინანსებით, დამატებით, გაემგზავრება დიდ ბრიტანეთში, ინგლისური ენის 2-კვირიან საზაფხულო სკოლაში.

წელს ინგლისური ენის ბანაკი სრულიად განახლდა როგორც ენის სწავლების მეთოდიკის კუთხით, ასევე გაკვეთილების ფორმატითა და შინაარსით.

წლევანდელი ინგლისური ენის პროგრამაში მოსწავლეები, ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრის შემდეგ, ხვდებიან არა იმ ჯგუფებში, რომლის დონეც უკვე აჩვენეს ტესტირების შედეგებიდან გამომდინარე, არამედ ერთი საფეხურით მაღალ დონეზე, რათა მათი პროგრესი სამი კვირის მანძილზე უფრო გაუმჯობესდეს.

წელს ზოგადი ინგლისური ენის კურსის კურიკულუმი სრულიად შეიცვალა და დაემატა ისეთი საინტერესო თემები როგორიცაა: PR at Buckswood; Press Day, Career Skills, Academic Writing, Business English, Tourism, Diplomatic Relationships, Modern Slang, English collocations და ა.შ.

ასევე წელს, აკადემიურ ნაწილს დაემატა ე.წ. „სასწავლო პორტფოლიო“ – Learning Portfolio, რომელიც დოკუმენტურად ასახავს მოსწავლის 3-კვირიან აკადემიურ მოღვაწეობას, სადაც ეტაპობრივად და დეტალურადაა ასახული პროგრამის ფარგლებში გავლილი სასწავლო მასალის შინაარსი და თემატიკა.

ყოველ მეათე დღეს მასწავლებელი ამზადებს პროგრესანგარიშს, სადაც თითოეული მოსწავლის აკადემიურ შედეგებს აფასებს. ასევე, ყოველ მეათე დღეს, მოსწავლეებს უტარდებათ ტესტირება, რათა შემოწმდეს მათი აკადემიური მოსწრება-პროგრესი.

საზაფხულო სკოლაში მოსვლისთანავე მოსწავლეები გადანაწილდნენ სხვადასხვა სახელწოდების მქონე ჯგუფებში და თითოეულ ჯგუფს დაენიშნა ლიდერი, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობაზე როგორც სპორტულ, ისე შემოქმედებით აქტივობებსა და შეჯიბრებებში.

მინისტრის მილოცვა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერასთან დაკავშირებით

განათლებისა და მეცნიერების სისტემის თანამშრომლებისა და წარმომადგენლების სახელით, პატივი მაქვს მივულოცო საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა!

ამ ხელმოწერით აღდგა ისტორიული სამართლიანობა!

დასრულდა საქართველოს ხელოვნური იზოლაცია ევროპული ოჯახიდან.

მნიშვნელოვანია საქართველოს წვლილი საერთო ევროპული სახლის ჩამოყალიბებაში და ევროპეიზმის იდეის შექმნაში, დაწყებული ჯერ კიდევ ელინისტური პერიოდიდან.

მეამაყება, რომ ვარ იმ პოლიტიკური გუნდის წევრი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში.

საქართველოსთვის ახალი შესაძლებლობებისა და განვითარების პერიოდი იწყება.

ვულოცავ საქართველოს და საქართველოს მთავრობას ამ დიდ წარმატებას!

მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, რომელიც ჩართული იყო ამ რთული პროცესების წარმატებით განხორციელებაში.

საგანმანათლებლო სფეროსთვის ასოცირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს:

- ❖ ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში ინტეგრაცია;
- ❖ სტუდენტური და აკადემიური გაცვლითი პროგრამების მკვეთრი ზრდა;
- ❖ კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების აღიარება;
- ❖ პროფესიული განათლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სინქრონიზაცია.

ეს ყველაფერი, ერთი მხრივ, დიდი გამოწვევა და, მეორე მხრივ, რეალური შესაძლებლობაა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ევროკავშირის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, შეიმუშავა განათლებისა და მეცნიერების განვითარების გრძელვადიანი კონსოლიდირებული სტრატეგია, გადადგა კონკრეტული ნაბიჯები და მოამზადა სისტემა ყველა ამ მიზნების მისაღწევად.

მზად ვართ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ საქართველოს შეუქცევად ევროპულ განვითარებაში!

5 ქართულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ქართული უნივერსიტეტების სტუდენტები, წელს პირველად, მონაწილეობას მიიღებენ ბიზნეს ქეისების საერთაშორისო შეჯიბრში, რომელიც 2014 წლის დეკემბერში აზერბაიჯანში ჩატარდება. შესაბამის მემორანდუმს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, „ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმითედს (BAT)“, ამერიკული განათლების აზერბაიჯანულ ალუმნი ასოციაციას (AAA), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, კავკასიის უნივერსიტეტს, თავისუფალ უნივერსიტეტს, ქართულ ამერიკულ უნივერსიტეტსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის მოეწერა ხელი.

მემორანდუმის ფარგლებში, პირველად, საქართველოს ორი გამარჯვებული უნივერსიტეტის გუნდი, ბრითიშ ამერიქან ტობაკოს მხარდაჭერით, მონაწილეობას მიიღებს ბიზნეს ქეისების საერთაშორისო შეჯიბრში, სადაც საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის გამოცდილების გარდა, გამარჯვებული გუნდები ფულადი პრიზებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდებიან.

შეჯიბრში ეკონომიკისა და ბიზნესის ბაკალავრიატის ბოლო კურსის ან მაგისტრატურის დონიდან შერჩეული სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას.

შეჯიბრის პირველი ეტაპი საქართველოში გაიმართება და მასში 5 უნივერსიტეტის – თსუ, CU, FU, GAU და IBSU-ს გუნდები ჩაერთვებიან, მათგან 2 გამარჯვებული გუნდი ბაქოში გაემგზავრება. სამინისტრო პასუხისმგებლობას იღებს, საჭიროებისამებრ, გაწიოს ნებისმიერი საინფორმაციო და ტექნიკური მხარდაჭერა, ხოლო ბრითიშ ამერიქან ტობაკო უზრუნველყოფს გამარჯვებული გუნდების გამგზავრებას ბაქოში.

საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობა ასეთი დონის კონკურსში ძალზე მნიშვნელოვანია და ხელს შეუწყობს ქართველი სტუდენტების შესაძლებლობების გამოვლენას, აამაღლებს სტუდენტთა მოტივაციას, გაზრდის მათი მომზადების დონეს და მათი პროფესიული ზრდისა და მომავალი წარმატების გარანტი იქნება.

საქართველოს ანტინარკოტიკული პოლიტიკა ევროპული ქვეყნების გამოცდილებას დაეყრდნობა

ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დელეგაცია, ლისაბონში, ნარკოტიკებისა და ნარკოტიკზე დამოკიდებულების მონიტორინგის ევროპულ ცენტრში, სამუშაო შეხვედრას მართავს. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორია და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის დირექტორი ლაშა კილაძე.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში განიხილება საქართველოში ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო მოხმარებისა და უკანონო ბრუნვის ობსერვატორიის შექმნის საკითხი, რაც ევროკავშირში ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია და განსაკუთრებით სასარგებლო ინსტრუმენტია დაბალანსებული, გამჭვირვალე და თანამედროვე ანტინარკოტიკული პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად საქართველოში.

უწყებათაშორის საბჭოს, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობს, კანონი ავალდებულებს, მიმდინარე წლის ბოლომდე შექმნას ასეთი ობსერვატორია საქართველოში, რომელიც განახორციელებს ქვეყანაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა უკანონო მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებასა და შეფასებას, ამ ინფორმაციის ანალიზსა და სწორ ინტერპრეტაციას, მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამეცნიერო და პრაქტიკული მეთოდოლოგიების დანერგვას. ევროპულ სახელმწიფოებში ეროვნული ობსერვატორიების მიერ ქვეყანაში ნარკოტიკული სიტუაციის შესახებ შეგროვებული მტკიცებულებებისა და ინფორმაციათა სწორი ინტერპრეტაციის შედეგად შექმნილი დოკუმენტებით ხელმძღვანელობენ გადაწყვეტილების მიმღები პირები ანტინარკოტიკული პოლიტიკის ჩამოყალიბებისას, რომელიც დაბალანსებული უნდა იყოს (პრევენცია, რეპრესია, მკურნალობა, განათლება, ზიანის შემცირება და სხვ.).

ვიზიტის ფარგლებში განიხილება ქართული ობსერვატორიის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ღონისძიებები, თუ რომელ უწყებასთან შეიძლება ფუნქციონირებდეს მსგავსი სტრუქტურა, როგორი უნდა იყოს მისი მუშაობისა და სხვადასხვა სამინისტროსთან თანამშრომლობის მეთოდი, რათა ობსერვატორია პოლიტიკის განმსაზღვრელი პირებისა და უწყებებისთვის მაქსიმალურად ეფექტური ინსტრუმენტი იყოს.

დღეისათვის ეროვნული ობსერვატორიის ყველაზე წარმატებულ მოდელებად ევროკავშირში საფრანგეთისა და ჩეხეთის ობსერვატორიები ითვლება.

სამართლებრივი განათლების პროგრამის შედეგები შეაჯამეს

ორგანიზაცია PH International, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, ახორციელებს „საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პროგრამა სამართლებრივი განათლებისთვის (GE CALLS)“. პროგრამის შედეგების შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა სახელწოდებით – „სკოლის, პოლიციისა და თემის თანამშრომლობა დანაშაულის პრევენციისთვის“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**. ერთობლივი პროექტის დონორია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის ბიურო. პროგრამის ძირითადი კომპონენტებია:

- ❖ *სასკოლო პრევენციული პროგრამები;*
- ❖ *სათემო ინიციატივების ხელშეწყობა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით;*
- ❖ *განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განვითარების ხელშეწყობა.*

სასკოლო პრევენციული პროგრამების მიზანია არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია მართლმსაჯულების საკითხების შესახებ მოზარდთა ინფორმირებულობის გაზრდისა და მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სამართალდამცავებს შორის ნდობის ჩამოყალიბების გზით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სამართალდამცავები და სამოქალაქო განათლების პედაგოგები პროგრამის მონაწილე სკოლებში, IX-კლასელ მოსწავლეებთან, სასწავლო წლის განმავლობაში, ერთობლივად ატარებენ სამართლებრივი კულტურის გაკვეთილებს.

სათემო ინიციატივების ხელშეწყობა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით – აღნიშნული კომპონენტის მიზანია არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის მიზნით ეფექტური, ინოვაციური და მდგრადი სათემო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განვითარების ხელშეწყობა – ამ კომპონენტის მიზანია საქართველოში განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გაძლიერება, რაც არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომების გამოყენების უმთავრესი ასპექტია.

პროგრამის ბენეფიციარები არიან შერჩეული სკოლების მოსწავლეები, დანაშაულის რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნები, არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები და მათი ოჯახები.

პროგრამის პარტნიორები არიან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

მშობელთა კრება

წარუმატებლობის განცდა

მყავს 7 წლის ბიჭი. ძალიან უყვარს მეგობრებთან თამაში, მაგრამ ვამჩნევ, რომ მარცხს ძალზე მტკივნეულად განიცდის. ამას სხვებიც ამჩნევენ. რამდენად ნორმალურია ასეთი ქცევა?

წარუმატებლობის შემთხვევაში დასევდიანება, მარცხის განცდა ჩვეულებრივი რამ არის. ბავშვმა შეიძლება იწუწუნოს, იბუზღუნოს, იყვიროს, იტიროს, პროტესტი გამოხატოს – ეს ნორმალურია, მთავარია, ემოციების გამოხატვის საშუალება მივცეთ.

არანორმალურია ის, თუ ბავშვი დამარცხების შემთხვევაში დიდხანს გრძნობს თავს დათრგუნვილად, სიხარულის განცდა აღარ აქვს და ეს ხელს უშლის მის განვითარებას. ბავშვისთვის მნიშვნელოვანია, მოიპოვოს სოციალური აღიარება, მიიპყროს ყურადღება, თავი მოიწონოს თავისი ქცევით, ქება დაიმსახუროს. ბევრი ბავშვი თავის მიღწევებს გარშემო მყოფთა მისდამი დამოკიდებულებას უკავშირებს. ეს უფრო მეტად ჩვენი, მშობლების დამსახურებაა: ხშირად ჩვენ თვითონ შთავაგონებთ ბავშვს იმ აზრს, რომ დამარცხება ცუდია, რომ სხვამ არ უნდა აჯობოს, მაშინ როდესაც მარცხიც გაკვეთილია და, შესაძლოა, უფრო ფასეულიც კი. თუ ბავშვი პატარაა, ყურადღებას ნუ გაუმახვილებთ მარცხზე, ნუ აფიქრებინებთ, რომ თუ მარცხი განიცადა, ე.ი. სხვაზე უარესია. მიაწოდეთ ინფორმაცია ასე: ყველა, ვინც ბოლომდე იბრძოლა, გამარჯვებულია! მოზრდილ ბავშვებთან საქმე უფრო რთულადაა: მათ უკვე ესმით, რა არის გამარჯვება და რა – დამარცხება. ნუ დააძალებთ თამაშის დამთავრებას, თუ არ სურთ; უმჯობესია გარედან დააკვირდნენ, თვალყური ადევნონ, როგორ თამაშობენ დანარჩენები. გარკვეული ხნის შემდეგ გაესაუბრეთ ბავშვს იმის შესახებ, რა მოხდა, სად დაუშვა შეცდომა, რა არ გააკეთა სწორად. შეეცადეთ, ერთად შეიმუშაოთ ახალი სტრატეგია. და კიდევ ერთი: აუცილებლად აღნიშნეთ, რა გააკეთა კარგად და სწორად. ნუ მისცემთ შენიშვნას იმის გამო, რომ დამარცხებამ გაანაწყენა. დროთა განმავლობაში პატარა მიხვდება, რომ დამარცხება ტრაგედია არ არის, მაგრამ ეს მისთვის მტკივნეულია, მშობლისგან კი გაგებას, თანაგრძნობას მოელის და ის აუცილებლად უნდა იგრძნოს. ნუ ეცდებით ბავშვის მეშვეობით თქვენი სურვილების რეალიზაციას. ის, რაც თქვენთვის წარუმატებლობას ნიშნავს, პატარამ შესაძლოა სხვაგვარად აღიქვას. მიეცით ბავშვს მოქმედების თავისუფლება. იმისთვის, რომ თქვენმა შვილმა მარცხი გამოუსწორებელ უბედურებად არ წარმოიდგინოს, წინასწარ დაფიქრდით მისი შედეგების შერბილების შესაძლო ვარიანტებზე. ითამაშეთ თანასწორად. ეცადეთ, ბავშვი მოხვდეს თანასწორთა წრეში. თუ თამაშში მონაწილეობენ უფროსი ბავშვებიც, მათ არ უნდა აჩვენონ თავიანთი უპირატესობა, თუმცა არც დათმობა ვარგა – თამაში თანასწორობის პრონციპის დაცვით უნდა წარიმართოს. სასურველია რთული და მარტივი თამაშების მონაცვლეობა, რათა მარცხის სიმწარის შემდეგ ბავშვმა იგრძნოს გამარჯვების სიხარულიც. ეს მას სტიმულს მისცემს ახალი მიღწევებისთვის. ეცადეთ, ბავშვმა ხშირად მიიღოს მონაწილეობა კოლექტიურ თამაშებში. ასეთ დროს მარცხდება მთელი გუნდი, ერთად კი მარცხის გადატანა გაცილებით ადვილია. ბავშვები ერთმანეთს ამხნევებენ ხოლმე და მწუხარებაც ნაკლებია. აუხსენით ბავშვს, რომ სხვებთან გაჯიბრება კი არ არის მთავარი, არამედ საკუთარ თავთან, როცა ყოველ ჯერზე უფრო და უფრო უკეთეს შედეგს აღწევ. მნიშვნელოვანია, ბავშვი გრძნობდეს პირად პასუხისმგებლობას, თორემ შესაძლოა, მარცხში დაადანაშაულოს ყველა, გარდა საკუთარი თავისა. პირადი მაგალითით უჩვენეთ ბავშვს, როგორ უნდა მოიქცეს დამარცხების შემთხვევაში: „დღეს დავმარცხდი, შემდეგში გამიმართლებს. მე გავითვალისწინებ ჩემს შეცდომებს, რათა მომავალში ასეთი რამ აღარ მომივიდეს“. უამბეთ, რომ ბავშვობაში თქვენც წაგიგიათ, თქვენც დაგწყვეტიათ გული ამის გამო, მაგრამ ამან ვერ შეგაჩერათ – მაინც განაგრძეთ თამაშებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობა და ბევრსაც მიაღწიეთ. ასეთი ისტორიები ბავშვს საკუთარი თავის რწმენას შემატებს. გადაიტანო მარცხი ღირსეულად – ეს ხელოვნებაა, რომელიც თავად შეგიძლიათ ასწავლოთ თქვენს შვილს. ეს მნიშვნელოვანი სოციალური ჩვევაა, რომელიც მას არაერთხელ გამოადგება მომავალში.

უკმაყოფილება საკუთარი თავით

ჩემი გოგონა გარდატეხის ასაკშია. როგორც ბავშვების უმრავლესობა ამ დროს, ისიც მეტისმეტად კრიტიკულად უდგება საკუთარ გარეგნობას, თითქმის არაფერს ჭამს, გახდომა სურს. მაღელვებს მისი ჯანმრთელობის ამბავი. როგორ გადავარწმუნო?

გარდატეხის ასაკში მოზარდების უმეტესობა სილამაზის მოდურ ეტალონებს ადარებს თავს და, სამწუხაროდ, ხშირად აღმოაჩენს, რომ სასწორი მათ სასარგებლოდ არ იხრება. ზოგიერთი მოზარდი ათას ნაკლს აღმოუჩენს ხოლმე საკუთარ თავს – რეალურია ისინი თუ გამოგონილი, ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. ამ პერიოდში მშობლები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ, ძალზე ტაქტიანად მისცენ შენიშვნები გარეგნობის თაობაზე.

ბავშვს სურს, თუნდაც მშობლების თვალებში ამოიკითხოს, რომ ის ლამაზია, სიყვარულის ღირსია, რომ შეიძლება გარშემო მყოფებს მოსწონდეთ. სამწუხაროდ, მშობლებში ჯერ კიდევ დამკვიდრებულია შეხედულება, თითქოს „ზედმეტი“ სითბო ბავშვს აყოყოჩებს. მათ ავიწყდებათ, რომ სამართლიანი, კეთილი, თანაგრძნობით სავსე დამოკიდებულება მოზარდს ეხმარება, ირწმუნოს საკუთარი თავის. არსებობს მოშლილობა, რომლის თაობაზეც მეცნიერებსაც კი არ აქვთ საერთო აზრი. ამ დაავადებას ფსიქიკურ ანორექსიას უწოდებენ. დაავადების არსი ის არის, რომ მოზარდ ასაკში გოგონები თავს ანებებენ ჭამას (მსუქანი და გამხდარი ქალის უპირატესობებზე უხსოვარი დროიდან დავობენ, მაგრამ ეს მეტწილად გემოვნების საქმეა). სიგამხდრის ჟინი უფრო და უფრო მძლავრობს. უჭმელობისაგან დაავადებული გოგონა თანდათანობით უძლურდება, იკლებს 10-15 კილოგრამს. ზოგიერთს ესმის, რომ თუ ასე გაგრძელდა, იგი შეიძლება დაუძლურდეს და მოკვდეს, ამიტომ თავს ძალას ატანს, რომ ჭამოს, მაგრამ კუჭი უკვე გადაჩვეულია საკვების მიღებას, იწყება პირღებინება, წონის კლებაც გრძელდება. თუ ასეთ ავადმყოფს დროულად არ ვუმკურნალეთ, შეიძლება ხელიდანაც გამოგვეცალოს. მედიკოსები დიდხანს ეძებდნენ ამ ავადმყოფობის მკურნალობის ოპტიმალურ ხერხებს: აძლევდნენ პაციენტებს მადის გამაძლიერებლებს, ძალით კვებავდნენ და ა.შ. ეფექტი არ იყო. მაშინ მათ თითოეული პაციენტის პიროვნების შესწავლა დაიწყეს. როცა არ იცნობ კონკრეტულ პიროვნებას, არ იცი, რითი საზრდოობს იგი, რა აწუხებს, შეუძლებელია ადეკვატური მკურნალობა დაუნიშნო. ბევრი გოგონა, რომელსაც მომავალში ასეთი ავადმყოფობის საფრთხე ემუქრება, უკვე 10-12 წლის ასაკში ამჟღავნებს ზედმეტ პატივმოყვარეობას, გულცივობას, რაციონალურობას და ხასიათის სხვადასხვა მამაკაცურ თავისებურებებსაც კი. გოგონები, რომელთაც მიდრეკილება აქვთ ფსიქიკური ანორექსიისადმი, როგორც წესი, ინტელექტუალურად განვითარებული, დადებითი პიროვნებები არიან. მათში ყველაფერია, გარდა ქალურობისა, სინაზისა, ემოციურობისა. როდესაც ისინი აღმოაჩენენ, რომ მათი ქალური არსი იფურჩქნება, გამალებით ებრძვიან მას, მერე კი უკვე აღარ შეუძლიათ, ექიმის დაუხმარებლად დაანებონ თავი ამ უაზრო ბრძოლას. ზოგიერთი მათგანი ქალურ ფორმებს სიკვდილს ამჯობინებს – სავსე მკერდი და თეძოები მათი გაგებით სიმსუქნეა. უბედურება ის არის, რომ ავადმყოფობა ნელნელა იწყება, პირველ ხანებში მას ფსიქოლოგიური ახსნა აქვს და არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ხშირად საქმე შორს მიდის. გოგონებს შიმშილისგან გული მისდით. როცა მშობლებს ისინი ექიმთან მიჰყავთ, უმეტესად უკვე ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ხვდებიან, ზოგჯერ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე არიან. მრავალი დედა უმეცრებას ამჟღავნებს, როცა გოგონას შიმშილის საშუალებას აძლევს. ძნელია დაადგინო ზღვარი, რომელიც ნორმალურ შიმშილობას ავადმყოფურისაგან განასხვავებს. დიეტა და შიმშილობა მხოლოდ გამოცდილი სპეციალისტის მეთვალყურეობით შეიძლება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია ადამიანი, რომელიც ყურად არ იღებს ასეთ გაფრთხილებას. ბიჭები და გოგონები, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ ფსიქიკური ანორექსიისკენ, პიროვნულად თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ისინი ყოველთვის „მართლები“ არიან, არ აქვთ იუმორის გრძნობა, მიდრეკილება აქვთ სქემატური აზროვნებისკენ. ყოველივე ეს ბავშვობიდან იწყება და ბევრი რამ, ამ შემთხვევაში, მშობლებზეა დამოკიდებული. ზოგიერთი დედა, რომელიც ვაჟიშვილზე ოცნებობდა, ლამის სკოლამდელი ასაკიდანვე უნერგავს გოგონას, რომ ქალად ყოფნას მამაკაცად ყოფნა სჯობს, რომ ქალი ცხოვრებაში კარგს ვერაფერს ნახავს. დედის ამგვარი დამოკიდებულება ქალიშვილის არსებაში ბადებს მისი ბიოლოგიური დანიშნულებისადმი აშკარა ან ფარულ ზიზღს, ამას კი შეუძლია ფსიქიკის მძიმე მოშლილობა გამოიწვიოს. მნიშვნელოვანია, დროულად გავამხნევოთ ბავშვი, ჩავუნერგოთ მას საკუთარი თავის რწმენა, გადავლახოთ საკუთარი გარეგნობის მიმართ მისი ზედმეტად კრიტიკული დამოკიდებულება. თითქმის ყველა მოზარდი, განურჩევლად იმისა, როგორ გამოიყურება სინამდვილეში, კრიტიკულად აღიქვამს საკუთარ თავს. მოზარდებს, საერთოდ, ახასიათებთ მეტისმეტი კრიტიკულობა, მაქსიმალიზმი. მთავარია, ამ თვისებებმა დამახინჯებული ფორმა არ მიიღოს. თუ მოზარდი ასეთ აზრებს თავს ვერ აღწევს, აუცილებელია ექიმისა და ფსიქოლოგის ჩარევა. ეს მოშლილობა წარმოშობითა და ზოგადი კლინიკური გამოვლინებით ახლოს დგას ფსიქიკურ ანორექსიასთან. მას დისმორფომანიას, ანუ საკუთარი გარეგნობის არასწორად აღქმის ბოდვას უწოდებენ. დისმორფომანია შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი სქესის ადამიანს, მაგრამ უფრო ხშირად მამაკაცებში შეიმჩნევა. ისინი განიცდიან შეუცნობელ შიშს, ეჩვენებათ, რომ რაღაც ცუდი ემართებათ, რომ რაღაც საბედისწერო გარდატეხა ხდება მათში. ყოველივე ეს ემთხვევა ძლიერ ფსიქოლოგიურ და ჰორმონულ ცვლილებებს, რაც მოზარდის ასაკისთვის ნიშანდობლივია. ამიტომ ბევრ მშობელს ჰგონია, რომ ცუდი არაფერი ხდება, ყველაფერი გაივლის და ყურადღების გამახვილება არ ღირს. ეს შეცდომაა, მშობელს დიდი სიფრთხილე მართებს. ასეთი პაციენტები დაჟინებით აკვირდებიან საკუთარ თავს, ძველ ფოტოსურათებს იმ მიზნით, რომ გაარკვიონ, რა მოხდა, რატომ შეეცვალათ გარეგნობა (ცხადია, მხოლოდ მათსავე თვალში). ამრიგად, მოზარდის მთელი ცხოვრება ემორჩილება მწუხარე განცდებს: ცხვირი, ყურები, პირი და სხეულის დანარჩენი ნაწილები მახინჯად ეჩვენება, აქვს განცდა იმისა, რომ გარშემო მყოფებში უსიამოვნო განწყობას იწვევს, ხდება ეჭვიანი, მძიმე ხასიათისა, ყველაფერი ადვილად სწყინს. მხოლოდ მშობლების უსაზღვრო სიყვარულსა და მოთმინებას შეუძლია შეარბილოს ეს განცდები. არცთუ იშვიათია, რომ უფროსების უტაქტობის, გულგრილობისა და უადგილო ირონიის გამო მოზარდი საბოლოოდ კარგავს საკუთარი თავის, ადამიანების, მომავალი ცხოვრების რწმენას, ამან კი შეიძლება დიდ განსაცდელში ჩააგდოს, ამიტომ აუცილებელია, ამ დროს იყოთ ფაქიზი, ყურადღებიანი საკუთარი შვილის მიმართ!

რატომ ცრუობს ბავშვი

შესაძლოა, პატარა „მატყუარა“ კი არ ცრუობდეს, უბრალოდ, ფანტაზიორობდეს. მცირე ასაკის ბავშვები ვერ ამჩნევენ ზღვარს გამონაგონსა და სინამდვილეს, წარმოსახვითსა და რეალურ სამყაროს შორის. მათთვის ორივე „რეალურია“. ასე რომ, თუ თქვენი ბიჭუნა ჰყვება, როგორ ჩავარდა საშინელ საფრთხეში და რა ყოჩაღად დაიძვრინა თავი, ანდა როგორ გადაარჩინა ვიღაც სიკვდილს, ნუ გაიცხავთ. დაფიქრდით, განა ის ზღაპრები, ძილის წინ რომ ვუკითხავთ, ის საბავშვო ფილმები და მულტფილმები, რომლებსაც ვაყურებინებთ, თავიდან ბოლომდე გამონაგონი არ არის?!

შეგნებულ ტყუილს კი რამდენიმე ტიპური მიზეზი აქვს:

1. ბავშვს თქვენი ყურადღების მიპყრობა, ქება, ალერსი სურს. როგორც ჩანს, ის ყურადღების დეფიციტს განიცდის.

2. ბავშვს დანაშაულის დამალვა და სასჯელის თავიდან აცილება უნდა. მან მშვენივრად იცის, რომ დააშავა.

3. ამგვარად გამოხატავს ბავშვი აგრესიას და მტრულ დამოკიდებულებას უფროსების მიმართ.

ხშირად მშობლები მეტისმეტად ბევრს ითხოვენ შვილებისგან, თავს აბეზრებენ მათ გაუთავებელი რჩევებითა და შენიშვნებით. საყვედურის ან სასჯელის შიშით ბავშვი ამჯობინებს, დამალოს ან შენიღბოს თავისი საქციელი... გახსოვდეთ, ნდობით აღსავსე ოჯახური ურთიერთობა მთავარი პირობაა კეთილსინდისიერი და პატიოსანი ადამიანის აღსაზრდელად. ბავშვმა, რომელსაც მშობლების სიყვარული და ალერსი აკლია, შესაძლოა ისე, უბრალოდ მოგატყუოთ, შეგნებულად მოგიშალოთ ნერვები. თუ ასეთი რამ ხშირად ხდება, მშობლებმა დაუყოვნებლივ უნდა მოაგვარონ შვილთან ურთიერთობა, ყოველნაირად ეცადონ, დაიმსახურონ მისი კეთილგანწყობა, თორემ რამდენიმე წლის შემდეგ ურთიერთობის დამყარება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება. მოზარდს არ ექნება მშობლების ნდობა, იქნება აგრესიული, დაძაბული, გაუჭირდება ჯანსაღი ურთიერთობა სხვებთანაც, ვერ გადავურჩებით ნევროზს. ნევროზი ნერვული სისტემის ფართოდ გავრცელებული დაავადებაა, რომელსაც ზედმეტი ფსიქიკური დაძაბულობა იწვევს. ბავშვებში ის მჟღავნდება: მეხსიერების დაქვეითებით, ღამის შიშებით, სწრაფად დაღლით, ყოფაქცევის შეცვლით, ენაბლუობით, განწყობილების სწრაფი და უსაფუძვლო ცვლით. ნევროზის ერთ-ერთი მიზეზია არასწორი აღზრდა. ინტერესებისა და სურვილების დათრგუნვა ბავშვს გულჩათხრობილს ხდის, საკუთარი თავის რწმენას აკარგვინებს. ასეთი ბავშვი არ არის ლაღი, თავისუფალი და დამოუკიდებელი, რაც ხელს უშლის თანატოლებთან ურთიერთობაში. საპირისპირო შემთხვევაა, როცა ბავშვს ხელისგულზე ატარებენ და ყველა სურვილს უსრულებენ. ამით გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უუნარო პიროვნება ხდება. ბავშვს, რომელსაც, მშობლების მისდამი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, თავი „განსაკუთრებულად“ მიაჩნია, მომატებული თვითშეფასება აქვს და ხშირად ზედმეტად მომთხოვნია სხვების მიმართ. ნევროზის განვითარებას ხელს უწყობს „მათრახისა“ და „თაფლაკვერის“ აღმზრდელობითი სისტემაც. ოჯახში, სადაც ბავშვის აღზრდას ერთდროულად ორი თაობა ეწევა (დედა, მამა, ბებია და ბაბუა) და თითოეულს საკუთარი დამოკიდებულება აქვს მის მიმართ, ბავშვებს ხშირად ემართებათ ნევროზი. ეცადეთ, არ დაუზიანოთ ბავშვს ფსიქიკა, აჩუქეთ მას რაც შეიძლება მეტი დადებითი ემოცია, გამონახეთ მისთვის დრო. ხშირად გაახარეთ, ყოველთვის შეასრულეთ მისთვის მიცემული პირობა, ნუ მოითხოვთ ბავშვისგან იმას, რის ძალაც მას არ შესწევს, ნუ მოაკლებთ ყურადღებას, მაგრამ ნურც ზედმეტი მზრუნველობით დაღლით. სრულფასოვანი ფიზიკური, გონებრივი და ემოციური განვითარებისთვის ბავშვს ურთიერთობა – საუბარი, თამაში, მოფერება საჭირდება. სიყვარულის გაცემისა და აღქმის, ურთიერთობის დამყარების უნარი ადამიანს დაბადებიდანვე დაჰყვება. ბავშვს სურს, იგი უყვარდეთ; გრძნობდეს, რომ მისი არსებობა ყველას უხარია. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ბავშვის შინაგანი სამყაროსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია – ეს მას უსაფრთხოების, დაცულობის განცდას უჩენს.

ნანა კალანდაძე

mkurnali.ge

სპორტი

ბაზაძემ ევროპას მეორედ „უჩხვლიტა“

წინა კვირას თბილისმა 23-წლამდელ მოფარიკავეთა შორის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ რანგის შეჯიბრება ფარიკაობაში პირველად ჩატარდა და კიდევ უფრო სასიამოვნოა მასპინძელთა წარმატება – ჩვენებმა თითო ოქრო და ბრინჯაო მოიპოვეს. ხმლით მოფარიკავეთა შორის ჩემპიონი ქუთაისელი **სანდრო ბაზაძე** გახდა, ბრინჯაო კი ამავე დისციპლინაში გუნდურ ტურნირში მოვიპოვეთ. შეჯიბრება საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო – 25 ქვეყნის 200-ზე მეტი სპორტსმენი გამოდიოდა და აქ მოპოვებული წარმატება მით უფრო სასიხარულოა.

ფარიკაობა სპორტის იმ სახეობათა შორისაა, რომლებიც ახლო წარსულში მქუხარე მიღწევებით დაიკვეხნიდნენ – მოეპოვებოდათ მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები, ახლა კი ხელახლა იწყებენ აღორძინებას. სავარაუდოდ, წამოვიდა ახალი თაობა, რომელმაც უკვე ხელშესახებ წარმატებებს მიაღწია – ქუთაისელი **მიხეილ მარდალეიშვილი** ჭაბუკებში მსოფლიოს მესამე პრიზიორია, მისივე თანაქალაქელ სანდრო ბაზაძისთვის კი ეს მეორე დიდი წარმატებაა – შარშან 20-წლამდელებში გახდა ევროპის ჩემპიონი. სამივე მედალი ამ რანგის შეჯიბრებებზე ჩვენთვის პირველია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ეჭვი არაა, ეს თაობა უფროსთა შორის და უფრო მაღალი დონის ტურნირებზეც მიაღწევს წარმატებებს, რითაც მყარად გაუკვალავს გზას მომავალ თაობას.

ბაზაძემ შეჯიბრების სასტარტო დღეს იასპარეზა და ჯგუფურ ეტაპზე ხუთივე მეტოქეს დამაჯერებლად მოუგო: ტურნირი ბელორუს **არტიომ კარაბინსკის** 5:1 ძლევით დაიწყო, მას პოლონელი **იაკუბ ოკინსკიც** თან მიაყოლა – 5:4, რუმინელ **ტოდორ კუკუს** 5:2 მოუგო, აზერბაიჯანელ **ჰუსეინ დადაშოვს** – 5:1, ბრიტანელ **ბრინმორ საუნდერსს** – 5:3 და პლეი ოფში პირველ ნომრად გავიდა. საბედნიეროდ, ტრიუმფალური სვლა იქაც გააგრძელა – თურქი **აჰმედ იბრაჰიმ ანტი** 15:7 დაჯაბნა, შედარებით გაუჭირდა იტალიელ **ლეონარდო აფედესთან**, მაგრამ ორი ქულით მაინც მოუგო – 15:13 და ნახევარფინალში გავიდა. იქ კიდევ ერთი იტალიელი – **ლუკა კურატოლი** ელოდა, რომელმაც გვარიანი პაექრობა გაუმართა ჩვენებურს. შეხვედრა დაძაბულად და გარდამავალი უპირატესობით მიდიოდა. ფინიშის სწორზე მასპინძელი ორი ჩხვლეტით დაწინაურდა – 14:12, მაგრამ აპენინელმა ანგარიში გაათანაბრა. საბედნიეროდ, ბაზაძე არ შედრკა და ბოლო იერიში წარმატებით დაასრულა – 15:14 მის სასარგებლოდ და ფინალში გავიდა. გადამწყვეტ პაექრობაში მას სოლიდური მეტოქე ელოდა – ახალგაზრდებში რუსთა მსოფლიოს წლევანდელი მესამე პრიზიორი **ალექსანდრ ტრუშაკოვი**. ბაზაძე ფინალში კიდევ უფრო მობილიზებული გავიდა და თავიდანვე შეუტია, რამაც გვარიანი წარმატებაც მოუტანა – 3:0 დაწინაურდა. მართალია, შემდეგ რუსმაც გამოიღო ხელი, მაგრამ ტემპი არც ქართველს დაუგდია და სხვაობა უკვე რვა ქულამდე გაზარდა – 11:3. შეხვედრის სურათი კვლავაც ამ სცენარით გაგრძელდა და საბოლოოდ ჩვენებურმა 15:7 გაიმარჯვა, რითაც კარიერის ჯერჯერობით უმაღლეს ტიტულსაც შეწვდა.

გუნდური ასპარეზობა შეჯიბრების ბოლო დღეს გაიმართა. მოხმალავეთა ნაკრები, რომელშიც ბაზაძის გარდა, მარდალეიშვილი, **საბა სულამანიძე** და **ლუკა ობოლაძეც** შედიოდნენ, მწვრთნელი კი ევროპის ჩემპიონის მამა **მერაბ ბაზაძეა**, მედლის მოპოვების კანდიდატად მიიჩნეოდა. ეს ტურნირი ზემდგომებთან შეთანხმებით დაგეგმილზე ადრე დაიწყო ერთი მეტად უცნაური მიზეზის გამო, რასაც ქართული უგერგილობაც შეიძლება ვუწოდოთ – სანდრო ბაზაძეს და მარდალეიშვილს... ქართულ ენაში ეროვნულ გამოცდებზე აგვიანდებოდათ... წინა დღით ანალოგიურ კომიკურ ვითარებაში ჩვენი სხვა მოფარიკავე – **არჩილ უგულავა** აღმოჩნდა, რომელსაც გაუმართავმა ქართულმა კანონმდებლობამ, რომელიც სპორტსმენებისთვის არავითარ შეღავათს არ ითვალისწინებს, სპორტსა და სწავლას შორის არჩევანის გაკეთება მოუხდა და გამოცდები დათმო. გუნდურში მასპინძელთა მოწადინების და ევროპული ფედერაციისა თუ მეტოქე გუნდების ხელმძღვანელთა გულმოწყალების მიუხედავად, რომლებმაც გულთან მიიტანეს ჩვენი ბიჭების გასაჭირი და დიდსულოვნად დათანხმდნენ შეჯიბრების ადრე დაწყებას, ამგვარ არჩევანთან დგომას და მსხვერპლის გაღებას ვერც ბაზაძე გადაურჩა – რუსებთან ნახევარფინალური პაექრობა მოსალოდნელზე ბევრად დიდხანს გაგრძელდა (ჩვენებმა წააგეს – 39:45). შესაბამისად, მესამე ადგილისთვის პაექრობაც გვიან დაიწყეს ანუ ან ბაზაძე უნდა წასულიყო გამოცდაზე, ან – ჩვენს ნაკრებს გადამწყვეტ შეხვედრაში ლიდერის გარეშე ეასპარეზა. ბუნებრივია, ბაზაძეს ვერავინ დაავალებდა გამოცდების გადადებას, მაგრამ მან თავად მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რაც მისი მხრიდან ადამიანური გმირობაა – დარჩა დარბაზში და თანაგუნდელებს მედლის მოპოვებაში დაეხმარა! მისი დიდი წვლილია, ჩვენებმა ბელორუსები 45:35 რომ დაამარცხეს და მესამე ადგილზე გავიდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველო ამ ორი მედლით 25 ქვეყანას შორის მეოთხე ადგილზე გავიდა. პირად პირველობაში ჩვენმა სხვა მოფარიკავეებმა მედალი ვერ მოიპოვეს, მაგრამ რამდენიმე მათგანი საკმაოდ კარგად გამოვიდა: მარდალეიშვილი მეოთხედფინალში გავიდა, მოხმალავე გოგოებში **თეოდორა კახიანი** მეხუთე იყო, რაპირაში **თეონა გოგლიძე** – მეექვსე.

საკანონმდებლო ბაზა სპორტსმენთა წინააღმდეგ

სამწუხაროდ, ისევ გვიწევს წერა პრობლემაზე, რომელიც საქართველოში არა და არ მოგვარდა. საქმე ეხება მაღალი მიღწევების სპორტში ჩაბმული მოსწავლე თუ სტუდენტი სპორტსმენებისთვის სასწავლო პროცესში შეღავათების გაწევას, რაც არც სწავლას დააზარალებს და არც – სპორტს. სავალალოდ, დღევანდელი საკანონმდებლო ბაზა არანაირ შეღავათს არ ითვალისწინებს, რაც სპორტს აზარალებს. ბუნებრივია, არავინ ითხოვს ადრინდელ მოდელს, როცა სპორტსმენებს გაუმართლებელი შეღავათები ეძლეოდათ და, ფაქტობრივად, სწავლის გარეშე ამთავრებდნენ სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელს. არავინ კამათობს იმაზე, რომ მათ განათლება აუცილებლად უნდა მიიღონ და დაეუფლონ პროფესიას, მაგრამ განა ამან რატომ უნდა გადაუკეტოს სპორტული წარმატებებისკენ მიმავალი გზა, რატომ ვერ მოიძებნა იმგვარი მოდელი, სადაც ერთი მეორეს არ გამორიცხავს? მსოფლიო ხომ იცნობს რამდენიმე მეთოდს, რითაც წარმატებით გადაიჭრება აღნიშნული პრობლემა? განათლება აუცილებელია, მაგრამ რა დააშავა სპორტმა, ნუთუ ის არ სჭირდებათ მოქალაქეებს? დასავლური საზოგადოება კარგა ხანია, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აჯობებს, ფული მოქალაქეთა სპორტში ჩაბმაზე, მათ გაჯანსაღებაზე დახარჯონ, ვიდრე – მკურნალობაზე, სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე. ევროპელებმა ისიც გამოითვალეს, რომ გაჯანსაღებაზე დახარჯული 1 ევრო უდრის ჯანმრთელობის დაცვაზე დაზოგილ 3 ევროს. მარტივი ჭეშმარიტებაა – რაც უფრო ჯანმრთელია ადამიანი, მით უფრო ნაკლები მკურნალობა სჭირდება; რაც უფრო მეტია ქვეყანაში ჯანმრთელი მოქალაქე, სახელმწიფოს მით ნაკლები თანხის დახარჯვა უწევს მათთვის სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე. ამასთან, არის ერთი დაუწერელი, მაგრამ ნებისმიერი ქვეყნისთვის აუცილებელი პრინციპი – ჯანმრთელი მოქალაქე ავტომატურად ნიშნავს ქვეყნის თავდაცვისუნარიან მოქალაქეს, ხოლო დაავადებული ამ საქმეში ვერ გამოდგება. ამიტომ საზოგადოებაში რაც უფრო მაღალია ჯანსაღ მოქალაქეთა ხვედრითი წილი, ქვეყანასაც პროცენტულად მით უფრო ეზრდება თავდაცვის შანსი.

ზემოაღნიშნულ პრობლემაზე ,სულ ახლახან, ტყვიის სროლაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ გაამახვილა ყურადღება. *„ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენებიდან ყველა ისეთ ასაკშია, გამოცდები უწევთ – ზოგს კლასიდან კლასში გადასაყვანი, ზოგსაც – ეროვნული, ჩვენ კი გაცდენებისთვის არავითარი შეღავათი არ გვაქვს. ამიტომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი კაცის გარდა, ვერავინ ვერ მიგვყავს. ეს საკითხი სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წინაშეც დავაყენეთ, მაგრამ ამაოდ. იმას კი არ ვითხოვთ, რომ გამოცდები არ ჩაბარებინონ, არამედ რაღაც შეღავათები ჰქონდეთ – ან გადაუვადონ, ან მანამ ჩააბარებინონ... სწავლამ ყველას შეუშალა ხელი და შედეგებს მოუკლეს. გესტაპო ხომ არა ვართ, ხელი ხომ უნდა შევუწყოთ! ხომ გვინდა ცხოვრების ჯანმრთელი წესის დანერგვა, რაც მერე დიდებსაც გაჰყვებათ. სპორტს დავანებოთ თავი და ვთქვათ, ავად გახდა მოსწავლე, რის გამოც ვერ ჩააბარა გამოცდები – ამისთვის მთელი წელიწადი უნდა დაკარგოს ან ჩარჩეს კლასში? თან სასკოლო გამოცდებიც არ იყო გარკვეული. თავიდან ვიცოდით, რომ მეთერთმეტე კლასელებს მაისში ექნებოდათ. ამიტომ შეჯიბრებებზე მაისში არ გავუშვით არავინ და ივნისში ჩავსვით, მაგრამ სამინისტრომ შეცვალა გადაწყვეტილება და გამოცდები ივნისში გადაიტანა, რის გამოც ვერ გავემგზავრეთ. ტურნირზე წასვლა ერთი დღის საქმე არაა – განაცხადი სამი თვით ადრე კეთდება, წინასწარაა გადასახდელ-დასაჯავშნი ბილეთის, სასტუმროს, მონაწილეობის თანხა. განაცხადის წარდგენის მერე არ იასპარეზებ და ამაზე ჯარიმაა. ეს ხომ მაინც შეიძლება, წინასწარ დალაგდეს?!“* – წუხს ოლიმპიური ჩემპიონი. სხვათა შორის, ტყვიის სროლაა ის სახეობა, რომელიც აღნიშნულმა საკანონმდებლო ლაფსუსმა ყველაზე მეტად დააზარალა, რადგან პოტენციურად ძალზე ნიჭიერი სპორტსმენი დააკარგინა – ქუთაისელი **ნინო ფანჩულიძე**, რომელიც სალუქვაძის შემდეგ მეორე ქართველი იყო, ვინც მსოფლიოს პირველხარისხოვან შეჯიბრებებში ფინალში გასვლა შეძლო, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონატზე მეხუთე ადგილზე გავიდა და საკმაოდ მაღალი ქულები დააგროვა. დღეს ანალოგიურ წარმატებებს კიდევ ერთი ქუთაისელი **ლიზი კილაძეც** აჩვენებს. ეს სამეული რომ გვყოლოდა ნაკრებში, გუნდურ შეჯიბრებებში ნებისიერი რანგის ტურნირზე გვექნებოდა მედლის მოპოვების რეალური შანსი. თუმცა, სამწუხაროდ, ფანჩულიძემ სწორედ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ლაფსუსის გამო ვერ შეძლო სწავლის სპორტთან შეთავსება, რადგან ვარჯიშისა თუ შეჯიბრებების გამო გაცდენილი საათები არასაპატიოდ ეთვლებოდა, სპორტს თავი დაანება და სწავლაზე გადაერთო.

თუმცა ტყვიის სროლა არაა ერთადერთი სახეობა, სადაც სპორტსმენები დიდ ტურნირებზე ვერ მიჰყავთ – ამ პრობლემას ყველა აწყდება. უახლოესი დღეებიდან რამდენიმე მაგალითსაც შემოგთავაზებთ: მაისში ანალოგიური მიზეზით მშვილდოსანთა ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრების რამდენიმე წევრმა უცხოური შეჯიბრებიდან გათავისუფლება ითხოვა, ხოლო წინა კვირას თბილისში მიმდინარე 23-წლამდელთა ევროპის მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატზე რაოდენ კურიოზულ ვითარებაში აღმოჩნდნენ ჩვენი სპორტსმენები, ხოლო ევროპის ჩემპიონმა როგორ დათმო ეროვნული გამოცდები სპორტისთვის, გაზეთის ამავე ნომერში წაიკითხავთ. ესაა მაგალითები უახლოესი წარსულიდან, თორემ წინა წლებიდან არაერთი შემთხვევაა, როცა მოსწავლეები სპორტის გამო გაცდენილი საათებისთვის მკაცრად დასჯილან, თვით კლასში ან კურსზე ჩატოვებითაც კი. სხვათა შორის, სახელმწიფოს ანალოგიური მიდგომა აქვს ჯარში გაწვეულ სპორტსმენთა მიმართაც, რაც ასევე მოსაგვარებელია.

ცხადია, ამ ყველაფერს საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება უშველის, რასაც ამდენი წელიწადია, ვერაფრით დაადგა საშველი. პრობლემის არსებობას ყველა სათანადო უწყება ადასტურებს, მაგრამ საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებისათვის, , რაც, უპირველესად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გასაკეთებელია, ჯერჯერობით არაფერი კეთდება.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

სასკოლო სპორტი

წარმატებული წლის მნიშვნელოვანი აქცენტები

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ, მიმდინარე სასწავლო წელს მრავალრიცხოვანი სპორტული ღონისძიება განხორციელდა. აქტიურ სასკოლო სპორტში ჩაერთო თბილისის, მცხეთის რაიონისა და რუსთავის საჯარო სკოლები.

მართალია, მთელი წლის განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებებზე საუბარს ერთ საგაზეთო სტატიაში ვერ მოვახერხებთ, მაგრამ გაწეული მუშაობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტებზე თავად ფედერაციის წარმომადგენლები მოყვებიან.

გია ბეგიაშვილი, საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: *„დამთავრდა საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის სამუშაო წელი, რომელიც წარმატებულად შეიძლება მივიჩნიოთ. წლის განმავლობაში ჩატარებულ სპორტულ აქტივობებში სამი ათასზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.*

ჩატარდა შემდეგი ტურნირები:

სასკოლო ლიგა ფეხბურთში

– თბილისის 80 საჯარო და კერძო სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ.

სასკოლო ლიგა კალათბურთში

– თბილისის 40 საჯარო და კერძო სკოლის გუნდები.

სასკოლო ლიგა ფრენბურთში

– 100 სკოლის ათასამდე მოსწავლე.

სასკოლო ტურნირი ფუტსალის ჩემპიონატში

– თბილისის, რუსთავის და მცხეთის 80 საჯარო და კერძო საჯარო სკოლა.

სასკოლო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთი

– თბილისის 50 საჯარო და კერძო სკოლის გუნდი.

სასკოლო ტურნირი კარატეში

– ოთხასამდე მოსწავლე მონაწილეობდა.

სასკოლო ტურნირი ჭადრაკში

– თბილისის 50 საჯარო და კერძო სკოლის გუნდები.

ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის თასში

– 16 სკოლა მონაწილეობდა. ტურნირის შემდეგ თბილისის №115 საჯარო სკოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი გაიხსნა.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ფინალური შეხვედრები, სადაც დარწმუნებით მინდა ვთქვა, რომ შემთხვევით და სუსტი გუნდები არ მოხვედრილა. საფინალო შეხვედრებამდე მისული მოზარდები თუ გააგრძელებენ სპორტულ კარიერას და ხელშეწყობაც ექნებათ, მათგან ძალიან ბევრ კარგ სპორტსმენს მივიღებთ. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მოსწავლეებს უდიდესი სპორტული და ინტელექტუალური პოტენციალი აქვთ.

წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობიდან განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სპორტის პედაგოგებთან სამუშაო შეხვედრები, მათ შორის მიმდინარე წლის 24 ივნისის შეხვედრა, სადაც, ფედერაციის ინიციატივით, განხილვის მთავარი თემა სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი იყო.

შეხვედრის დღის წესრიგი სამი საკითხისაგან შედგებოდა:

1. საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ 2013-2014 სასწვლო წელს დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

2. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის გაცნობა და სასკოლო სპორტის საკითხები;

3.სასკოლო სპორტის საკითხებზე მომუშავე პედაგოგებისაგან ჯგუფის შედგენა.

შეხვედრაზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ფედერაციის წევრებთან ერთად, სასკოლო სპორტის განვითარებაზე იმუშავებს. შეხვედრის უმთავრესი დრო სასკოლო სპორტის განვითარებისათვის ხელისშემშლელ ფაქტორებს დაეთმო, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი შიდა სასკოლო ჩემპიონატების არარსებობა, ან ძალიან დაბალ დონეზე ჩატარებაა.

შეხვედრის დასასრულს, აქტიური პედაგოგები წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისთვის სიგელებით დაჯილდოვდნენ.

სამომავლოდ ვგეგმავთ სპორტულ ასპარეზობებში მეტი სკოლის ჩართვასა და მეტი სპორტული სახეობების შეთავაზებას.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი საქმიანობის მეთხედიც ვერ განხორციელდებოდა, რომ არა სკოლის დირექტორების თანადგომა, რომელთაც, სპორტულ აქტივობებში მონაწილე ყველა ბავშვისა და საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის სახელით, მინდა მადლობა გადავუხადო.

ესენი არიან: წეროვნის №3 საჯარო სკოლა, დირექტორი – ***რამინ ჩიტიშვილი****; თბილისის საჯარო სკოლები: №21, დირექტორი –* ***მაია ჩიკვაიძე****; №45, დირექტორი –* ***მზია გელაშვილი****; №51, დირექტორი –* ***მანანა თურქაძე****; №69, დირექტორი –* ***თეა პაპავა****; №77, დირექტორი –* ***ნანა ხიდაშელი****; №84, დირექტორი –* ***მანანა ბაციკაძე****; №88, დირექტორი –* ***ეკა ჯამაგიძე****; №98, დირექტორი –* ***გიორგი მომცელიძე****; №105, დირექტორი –* ***ქეთევან ტურიაშვილი****; №207, დირექტორი –* ***ზურაბ ჩხაიძე****; №208, დირექტორი –* ***ქეთევან ბილიხოძე****; №112, დირექტორი –* ***ნინო თაბაგარი****; №115, დირექტორი –* ***მარგალიტა ჭინჭარაული****; №118, დირექტორი –* ***ნოდარ შერაზადიშვილი****; №120, დირექტორი –* ***მარინა წერეთელი;*** *№132, დირექტორი –* ***შორენა კუკულავა****; №141, დირექტორი –* ***მარინა სამუშია****; №154, დირექტორი –* ***გიორგი გარსიძე****; №155, დირექტორი –* ***ხათუნა ხულორდავა****; №166 დირექტორი –* ***ირმა ომანაძე****; №173, დირექტორი –* ***შორენა ბუნტური****; №176, დირექტორი –* ***ეკა გაბინაშვილი****; №178, დირექტორი –* ***ნანა ლაბაძე****.“*

მევლუდ ლაშაური, საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი: *„წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სასკოლო სპორტის განვითარებისათვის, პირველ რიგში, საჭიროა სკოლის ინფრასტრუქტრის მოწესრიგება, სპორტული აქტივობების სისტემატურად ჩატარება, სპორტის გაკვეთილების დატვირთვა მოსწავლისათვის საინტერესო ინოვაციებით. უნდა დავიწყოთ საგაკვეთილო პროცესის დროის ოპტიმიზაციაზე ფიქრი და მსჯელობა.*

სკოლების თვითშეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოლების გუნდების მიერ მიღწეული შედეგები.

მნიშვნელოვანია სასკოლო სპორტის სამთავრობო დონეზე ხელშეწყობა. კარგი იქნება, თუ სპორტს ბიზნესსრეები დახმარებას გაუწევენ, რაც, თავისთავად, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას ნიშნავს.“

კახა ნიკოლაძე, საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის გამგეობის წევრი: *„წლევანდელი წელიწადი, გარდა ფედერაციის მიერ წარმატებით განხორციელებული აქტივობებისა, გამორჩეულია იმითაც, რომ სასკოლო სპორტის ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეა – სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა ინიციატივითა და „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის“ ხელშეწყობით გადაწყდა დაარსდეს „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ახალგაზრდული მოძრაობა“.*

პირველ ეტაპზე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი №77, №84, №98, №115, №155, №120, №173 საჯარო სკოლების მოსწავლეთა შემადგენლობით, რომელსაც სათავეში ჩაუდგა №77 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ***გიორგი შიშინაშვილი****. შეხვედრაზე მოსწავლეებმა შეადგინეს უახლოესი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა. უახლოეს გასაკეთებელ საქმედ დაიგეგმა საქველმოქმედო აქცია, რომელიც ორი ახალგაზრდა ადამიანის –* ***ლადო ჩაჩანიძისა*** *და* ***ლოლიტა ჯულაყიძის*** *სიცოცხლის გადასარჩენად გაიმართება.*

სხვა საინტერესო აქტივობებთან ერთად განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ვიქტორინა „წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“, რომელიც ხორციელდება გაზეთ „ახალი განათლების“, ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ და საქართველოს ოლიმპიური კლუბის პარტნიორობით, ვიქტორინას პრიზები დაუწესა გამომცემლობამ „ელფი“.

„ახალი განათლების“ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ვიქტორინა გულისხმობს წასაკითხად წინასწარ შერჩეული წიგნის გამოცხადებას, შემდეგ ნაწარმოებიდან კითხვების დასმას და მოსწავლეების მხრიდან, პასუხებთან ერთად, კითხვის გამოგზავნას „რა? სად? როდის?“ ფორმატში.“

გიორგი შიშინაშვილი, საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციასთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობის „ჯანსაღი მომავალი“ პრეზიდენტი, თბილისის №77 საჯარო სკოლის მოსწავლე: *„სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით, სკოლის მოსწავლეებმა დავაარსეთ ახალგაზრდული მოძრაობა, რომელსაც „ჯანსაღი მომავალი“ ვუწოდეთ.*

❖ *რატომ ახალგაზრდული მოძრაობა და რატომ ეს სახელწოდება?*

❖ *მართალია, ჩვენ სკოლის მოსწავლეები ვართ, მაგრამ დრო მალე გავა და აქტიური სამოქალაქო ცხოვრება ადრიდანვე უნდა დავიწყოთ.*

მოძრაობის სახელწოდებას რაც შეეხება: პირველ რიგში ვიტყვი, სტერეოტიპული აზროვნებაა, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესი კარგი კვება და ჰიგიენის დაცვაა.

ფედერაციის უფროსი მეგობრებისა და ახალგაზრდული მოძრაობის წევრების აზრით ჯანსაღი ცხოვრების წესი ჯანსაღი სამოქალაქო აზროვნებაა და მერე სხვა დანარჩენი. მოძრაობა „ჯანსაღი მომავალი“ მოქალაქეობრივად მოაზროვნე მოსწავლეების გაერთიანებაა.

პირველივე შეხვედრაზე გადავწყვიტეთ მოძრაობის ლოგო გაგვეკეთებინა. ჩამოვწერეთ აზრები, რომლებიც ფურცელზე თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ***თორნიკე კვიჟინაძემ*** *და* ***გიორგი ომაძემ*** *გადაიტანეს. ლოგო თავის თავში მოიაზრებს სასკოლო სპორტს, ანუ ფიზიკური, ინტელექტუალური, მორალური და კულტურული განვითარების ერთობლიობას. დევიზიც გვაქვს –* ***ჩვენ არ ვკრძლავთ, ჩვენ ვთავაზობთ****, რადგან კარგი შედეგის მიღება ნებაყოფლობით გაკეთებული საქმით უფროა შესაძლებელი, ვიდრე აკრძალვებით.*

გვაქვს სამომავლო გეგმები, რომელიც რამდენიმე სიტყვით ამომწურავად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ვიქნებით აქტიურები ფიზიკური, ინტელექტუალური, მორალური და კულტურული მიმართულებით. თავად ახალგაზრდული მოძაობა ღია საზოგადოებაა და მისი კარი ღიაა ყველა მოსწავლისათვის, ვისაც მიაჩნია, რომ მთვარია კარგი მოქალაქე გახდეს.“

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი** ახალი
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე** ახალი
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტეზუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- ჯონ გრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

ითითო ფოთის ფასი – 12 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან
ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

„გამოცდილება“

ქიმია
საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ქიმია
დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ჟ. პეტრიაშვილი,
ნ. მაისურაძე
ფასი – 4 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ითითო ფოთის ფასი – 9 ლარი

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი

ფენომენები

- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაძირული ქალაქები
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ახალი განათლება

მთავარი
რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >